

მწვემსი



მე ვარ მწვემსი კეთილი: მწვემსმან კეთილმან სული თვის დაჰსდგის ცხოვართათვის. იოან. 10—11.
შოვე ცხოვარი ჩემი წაწმენდული. მსრეთ იყოს სისარულ ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.
შოვედით ჩემდა ვოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განვიხევეთ თქვენ. მათ. 11—28.

№ 13—14

1883—1900

15—30 ივლისი

ჩამატორისაგან.


ბოდიშს ვითხოვთ ჩვენს მკითხველებთან, რომ ამ ივლისში და აგვისტოში ორ-ორი ნომრის მაკვირად თათო შუერთებული ნომერი გამოვა (24 გვერდი). ამის მიზეზია ის, რომ ჩვენ განვიზრახეთ სათათრეთისა და ვერძის სახელმწიფოებში მოგზაურობა. თუ ღმერთმა მშვიდობა მოკვანიჭა, ვეცდებით მკითხველებს უცხოეთის სასიამოვნო ამბები ვაცნობოთ.

რედაქტორი დეკ. დ. დამასიძე



ხოკიერთი საქმით კაბრთხილება მოსწავლეთა მძობელთათვის.

მწერილში ჩვენ გვწალია შეივხოთ ერთ ავადმყოფობას, რომელიც სხვადასხვა მიზეზების გამო მეტად ვრცელდება ჩვენს მოზარდ თაობაში, მაგრამ უფრო მეტად-კი სასულიერო სასწავლებლებში და სემენარიაში. ეს სენი გახლავთ ფილტვების ავადმყოფობა, ქლერქი, რომლის მარტო გაგონება-კი თავზარსა სცემს და სასოწარკვეთილებაში ავდებს ავადმყოფის პატრონს. მართალია, ამ გვარი შიში გადაპარბებულად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც ეს სენი არ არის მინცალამინც ისეთი საშიშარი, როგორც საზოგადოდ ჰგონიანთ: ბევრი





სხვა სენი არის ამაზედ უფრო დაუნდობელი და ცუდი შედეგის, მაგრამ ეს ითქმის მაშინ და იქ, როდესაც და სადაც ადამიანს ხელთ აქვს ამ სენის საბოძოლველი საშუალება, როდესაც საამისოდ საგანგებოდ მოწყობილი ადგილები უხვად მოიძებნება და არც ძნელ-მისაწოდშია არა მდიდრისათვისაც კი. ჯერ-ჯერობით კი, სანამ ყოველივეს ამას მოკლებულია ჩვენში საზოგადოება, რასაკვირველია შიში და სასოწარკვეთილება ამ სენის წინაშე გადაქარბებულად არ უნდა ჩაითვალოს. ამ შიშისა და სასოწარკვეთილებას თავი დავანებოთ, ყველაზედ უფრო დასანანებელია ის გარემოება, რომ ახალგაზრდა ქაბუკი, რომელიც დიდის ქაპანწყვეტით შესულა სასწავლებელში, რომელზედაც, ვინ იცის, რამდენი იმედია დამყარებული, რამდენიმე წლის შემდეგ სუსტდება, ხმება, ვარდება ლოჯიანად და ამ ნაირად ცოტას ხნით აფრთოვანებულს იმედს, თვისდა უნებურად მწვავე სასოწარკვეთილებად სცვლის. ამნაირად ექარგება ოჯახს შვილი, და საზოგადოებას-კი ერთ ერთი წევრი. ავადმყოფის პატრონი იწყებს ექიმების შემოვლას, ერთიდან მეორესთან, მესამესთან და ყველასთან და როდესაც ხელდავს, რომ შესამწინევი გაუმჯობესება არ დაეტყობა, მიჰყავს შინ, სოფლად და უცდის მის აღსასრულის დღეს. ამ დიდს მუწუხარებაში თავს ნუგეშობს მით, რომ სხვებს მაინც მოუვლი და ვუწინამძღვრებო. მაგრამ ის კი არ იცის, რომ ამ მეორეს კიდევ დაწყობილი აქვს იგივე ავადმყოფობა და ფილტვებში უკვე მომზადარია იმნაირი ცვლილება, რომ რამდენიმე თვის ანუ წლის შემდეგ ამასაც მძლავრად უნდა გამოაჩნდეს იგივე სენი და ამანაც უნდა განუახლოს ოჯახს წინანდელი ჯავრი და მწუხარება. ხშირად ამნაირად ზედ მიყოლებით რამდენიმე წევრიც-კი კვდება ოჯახში. (ამნაირი ოჯახზე იმერეთში იტყვიან ხოლმე „ტირის თამაწყდენო“). ოჯახის უფროსი ბოლოს სახლს სტოვებს, სწავის ანუ ძალიან იაფად ჰყიდის სხვაზე, თვითონ ახალ შენობას ავებს და ამნაირად სკდილობს, დანარჩენი პატარა შავშები მაინც გადაარჩინოს, რომელთაც მწარე გამოცდილებით დარწმუნებული აღარ ისტუმრებს ქალაქ ადგილს და ერთხელვე გულ-გატეხილი არც სასწავლებელში აძლევს.

ამ გვარი მაგალითები ძალიან ხშირია ეხლა ჩვენში და რომ ყველა ექიმებს ჩაწერილი ჰქონდესთ

ამ გვარი ცნობები, ჯამი მათი ისეთ რიცხვს შეადგენდა, რომ სწორედ განსაცვიფრებლად დაურჩებოდა ყველას, თუ ამ ედემის მსგავს. ბუნებით დაჯილდოებულ ქვეყანაში რად უნდა ჰქონდეს ფესვი გადგმული ასე ამ უცნაურს სენსაო! მაგრამ მარტო ბუნების სიმშვენიერემ რა ჰქნას, როდესაც დროთა ვითარებას ზედ ათასი არასასიამოვნო რამეები და უმჯობესია, რის აშორებაც ჩვენს უფლებებაში არ არის და რის მოსპობა, ჩვენს სურვილს არ ექვემდებარება!.. ამისათვის მხოლოდ მაზედ უნდა ვილაპარაკოთ, რაც კი ჩვენ ხელთ არის და რაც ზოგიერთ ღონისძიების შემოღებით შეიძლება ცოტაოდნად მაინც გამოკეთდეს. ფილტვის ავადმყოფობა, ვგრედ წოდებული ქლერქი, რომ გავრცელებულია სასულიერო სასწავლებლების და სემინარიების მოწაფეთა შორის—ამის ბევრი დამტკიცება არ უნდა, ეს არა თუ ექიმებს, საზოგადოებამაც კი კარგად იცის: ეხლა უნდა ვიკითხოთ ძალაუნებურად—რა უწყობს ხელს ამ სენის გავრცელებას და აქედან რასაკვირველია, შეიძლება ვივარაუდოთ ის ზომებიც, რომლითაც შეიძლება ამ სენის აშორება და მისი მძინვარების შესუსტება; რა ნაირი უნდა იყოს ეს ზომები ან რანაირად შეიძლება მათი სავალდებულოდ შემოღება? აი ამ კითხვებზედ ვეცდებით პასუხის გაცემას.

ჩვენ აქ არ შევეუდგებით დაწვრილებით ამ ავადმყოფობის ნიშნების აღწერას, რადგანაც ეს ავადმყოფობა ისე შეუმჩნევლად იწყება, რომ თვით ავადმყოფი ვერც კი შეატყობს თავის თავს, სანამ მასში ეს სენი საკმაოდ არ მოიდგამს ფეხს. როდესაც ავადმყოფი შეატყობს თავის თავის გარეგან ნიშნებს ამ სენისას, მაშინ-კი ავადმყოფობა უკვე ფეხს მოდგმულია მის სხეულში და ცვლილებაც უკვე დიდი ხნის მომზადარია მის ფილტვებში. მაშასადამე აქ თვით ავადმყოფს ვერავითარი ღონისძიების ხმა-რება არ შეუძლია წინასწარად, რომ მას შეეძლოს დასწრობა და თვით დასაწყისიდანვე რაიმე ზომების ხმარება. ამ ცვლილების შეტყობა შეუძლია მხოლოდ ექიმის გამოცდილს ყურს და ისიც ბევრად უფრო ადრე იმ დრომდე, სანამ რაიმე ნიშნები გამოაჩნდებოდეს გარეგნულად. მაშასადამე სავალდებულოდ თუ იქნება შემოღებული მოწაფეთა გასინჯვა ყოველ წლიურად სამჯელ-ოთხჯელ მაინც, მაშინ შეიძლება წინდაწინვე გასაბრახილებელი ზო-

მები დაევალოს ახალ-გაზრდას, რომელიც კანდიდატია მომავალ ავადმყოფობის.

მეცნიერებამ კარგად გამოიკვლია, თუ რა უწყობს ხელს ქლერქის გავრცელებას. მემეცნიერებას გარდა, როდესაც პირდაპირ სუსტი აგებულების ფილტვი გარდაცემა ახალ-გაზრდას, ქლერქით და ავადმყოფების თავ-და-თავ მიზეზად არის მიჩნეული აკივება. ფილტვის ანთების შემდეგ ქლერქის ბაქტერიანი სადგომში ყოფნა, შეხუთულ ჰაერში დგომა, რიგიანი საზრდოს უქონლობა და სხ. ესე იგი ყველა ეს მიზეზები ადვილი ასაშორებელი არიან პარველის გარდა. თუმცა მემეცნიერებით სუსტი აგებულების ფილტვი ბევრს აქვს, მაგრამ მიანცა-დამიანც ყოველი ამგვარი ადამიანი უჯუოდ ქლერქით-კი არ უნდა გახდეს ავად; სიბრთხილისა და ზოგიერთი ზომების დაცვით მათთვის ადვილად მოსახერხებელია ამ სენის აშორება, თუ კი იმ დროს, როდესაც მოასაკებაში მოდის ადამიანი, ზოგიერთ ზედმეტ მოთხოვნილებას ასრულებს სადგომისა, ჰაერისა და საქმელ-სასმელის შესახებ. ხშირად შეხედება კაცი ორ ძმას, ერთისა და იგივე აგებულების მექონს—ერთს ქლერქით შეტყობილს და მეორეს სრულიად ჯანმრთელს; ერთი ქალაქ ადგილს მოსულა საწვრთნელად, ქკუის მოსაგებად და ჯანმრთელობის წასაგებად, და მეორე კი სოფლად დარჩენილა, წმინდა, მოუწამვლელ ჰაერში, ბუნებრივი ნიქის ამარად, მაგრამ ჯანმრთელობის წაუგებლად. ეს ერთი ნაწილი ავადმყოფების, ესე იგი ბუნებითვე კოტადუნად დაზიანებული ადვილად აიშორებდა ავადმყოფობას, რომ ქალაქის მანვე პირობებში არ ჩაერდნელიყო. მეორე ნაწილი-კი, რომელთაც ფილტვები არ აქვთ ნაკლოვანი, თუ ავად ხდება, მხოლოდ და მხოლოდ ცუდის სადგომების, სასმელ საქმელის და მოუვლელობის მეოხებით. ერთი-კი და მეორე ნაწილიც საბრალო მსხვერპლად ხდება იმ პირთა უმეტრებისა და თავშეუღებლობის წყალობით, ვისაც ხელთ აბარია ამ ახალ-გაზრდათა ბედი და მომავალი. მუდამ ჯავრსა და დარდში მოწუწუ-

ნე დედ-მამა იმით არის კმაყოფილი, რომ შვილი სასწავლებელში ჰყავთ, კარგ ნიშნებს იღებს, წლიდან წლამდე გადადის დაურჩენელად და მომავლის იმედით ათასნაირად აფერადებს თავის ოცნებას, და ის კი არ იცის, თუ რა მწარე შედეგი მოეღოს მას ახლო მომავალში, რომელიც უსაზრბს ამ იმედსაც და გუშინდელ ჯანმრთელ, რძე-და-ღვინოსავით ქაბუკს, სამუდამოდ ლოგინში მწოლიარე ავადმყოფად უბრუნებს მისთვის, რომ მან თავის აღსასრულამდე სწყველოს სასწავლებელში შესვლის დღე. ანაირი მაგალითები მეტად ხშირია და ბევრიც სხვა პირადის გამოცდილებით დარწმუნებული, დასტურს დასცემს ამ სტრუქტურის დამწერს. ამისათვის საჭიროა თვით მშობლებმა იზრუნონ და რაიმე ილანონ და მოახებონ ამ საჭირ ვარამო კითხვის შესახებ. მარტო ის არ კმარა, რომ წუწუნით და ცრემლით წამხდარ საქმეს გამოევიდოს კაცი, საჭიროა მწარე გამოცდილებით აღჭურვილმა სხვა-ც ააშოროს მსგავს-სავე სიმწარეს, და როდესაც სხვა არავინ ხმის გა-ღები და შემბრალე არ არის, თვითონ აღიმაღლოს ხმა და წარმოსთქვას თვისი სურვილი. ეგებ მოქმელს გამგონე და ხმის მიმცემი გამოუჩნდეს და ამით საქმე გამოსწორდეს. ამ მახნით რამდენიმე რჩევა გვსურს მივსცეთ სამღვდლოებას, რათა მან თავის საერთო კრებებზე გარდასწავტოს იმ საშუალებათა შემოღება, რაც აუცილებლად საჭიროა მათდა შვილების საკეთილდღეოდ. რა შეუძლია სამღვდლოებას ამ მხრით, ან რა წესის შემოღება ჰმართებს, რომ მათ შვილებს, რომელნიც სასწავლებლებში არიან, შესაძნეველ ასცდეს ფილტვების ავადმყოფობა, ქლერქი—ამას ჩვენ შემდეგ წერილებში განვმარტავთ, და ავუსახავთ.

ექვთიმე გ. დ—ქე.



იმერეთის ეპარქიის სამღვდლოების მე-39-ემ კრება მ. ჭუბინის 15, 16, 17, 18 და 19 დეკემბერს 1899 წ.

გვარძელება *)

უკანასკნელად ჩვენ ვაცნობთ მკითხველებს მოხსენება სამღვდლოების კრებისაგან არჩეული კომიტეტისა, რომელიც შესდგებოდა მღვ. ი. ტაბიძისა, ი. მოდებაძისა და დათუნაშვილისაგან. ჩვენ არც ერთი სიტყვა ამ კომიტეტისა არ დაგვიტოვებია და მითგან ყველა უკუღმართათ შედგენილი ანგარიშიც ვაცნობთ მკითხველებს. დანიშნა მეორე კომიტეტი, ბლ. მღ. ნესტ. ყუბანეიშვილისა, ქალების გენაზიის საღვთო საჯულის მასწავლებლის ა. გიორგაძისა და მღვ. ს. შენგელიასაგან. ამით, თანხმად ეპისკოპოსის ბრძანებისა, შეამოწმეს საწყობის ნივთები და ჩააბარეს ახალ მმართველებს. ამასთან კომიტეტის ერთმა წევრმა მღვ. ს. შენგელიამ შეიტანა აღგილობითი მღვდელმთავართან მოხსენება, რომელიც კარგად ახსიათებს პირველი კომიტეტის მოქმედებას. აი ეს მოხსენება:

„თქვენის ყოვლად უსამღვდლოესობის რეზოლიუციითა, რომელიცა დასმულ არს სამღვდლოების ჟურნალზედ 26 იანვრიდან, იმერეთის საეპარქიო საეკლესიო ნივთების საწყობის ჩამორთმევა და გადაბარება ახლად დანიშნულ მართველობისადმი მონდობილი გვქონდა კომიტეტს, რომლის წევრებად ჩემს გარდა იყვნენ დანიშნულნი ბლადიჩინი ნესტორ ყუბანეიშვილი და მღვ. აღექსი გიორგაძე. თქვენის მეუფების რეზოლიუციით კომიტეტს ეპარქანბოდა მხოლოდ ნივთების გადმობარება და მთელი საწყობის ქონებისა და ჩაბარება ახალ აღრჩეულ მმართველთათვის, ამასთან ვალად გვქონდა დადგენილი წარმოგვედგინა მყოფი ყვირილის საეკლესიო საწყობიდან გადმოტანილი ნივთების სია, ჩვენებითა მათ ღირებულ ფასთა და რამდენად საჭიროა ისინი საწყობისათვის. ზემოხსენებული ბრძანება თქვენის მეუფების სისწორით იქმნა აღსრულებული და ამით კომიტეტმა საქი-

როდ არ დანიხა რაიმე თავისი მოსაზრება და შენიშვნა თქვენს მეუფებისათვის მოეხსენებია.

საეკლესიო ნივთების საწყობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად შემდეგ დროში, ჩემს მოვალეობად ვრაცხ მოვახსენო თქვენს მეუფებას ყველა ის, რაც აღმოაჩინა საწყობის შესაიღვასავლის წიგნებში და საზოგადო საწყობის მდგომარეობამ, წერეთლის დროის და დეკანოზის დამბაშიძის მართველობის დროისა და ამით გამოვიყვანო სამღვდლოება იმ შემცდარი აზრისაგან, რომელსაც ზოგიერთი ჩვენი თანამომენი ავრცელებდნენ შურისა და მტრობისა გამო საწყობის მართვა-გამეგობაზედ. ეს ცნობა მით უფრო არის საჭირო, რომ ამას ითხოვს სამღვდლოებისაგან შედგენილი ჟუნალი და სამღვდლოების კრებისაგან დანიშნული კომისიის შედგენილი რევიზია, რომელსაც არა მართლად მიუხსენებია კრებისთვის საეკლესიო ნივთების საწყობის მდგომარეობა. აი ეს ანგარიში: მიედლის ივლიანე წერეთლისაგან მიუღია დეკან. დავით ლამბაშიძეს ნივთები 5047 მანეთის და 38 კაპეიკისა.

ნივთები . . . 1214 მან. და 62 კაპ.
თვლიად ფული . 532 მან. და 76 კაპ.

და სრულიად 6794 მ., 76 კ.

ნაღდათ კი მას ვადმოუტოვია 520 მანეთის ნაკლებ, ვინაიდან 200 მანეთი საჩუქრად მიუღია, ვითომც საწყობის საქმის კეთილად წაყვანისათვის, 150 მანეთი ბეთ გაგზავნილი ფულები მიუთვლია, როდესაც ეს ბეთ გაგზავნილი ფული სრულიად დაკარგული ყოფილა საწყობისათვის, 170 მანეთი მომავალი დროის გასასყიდელი ნივთების შემოსავალი უჩვენებია, და სრულიად 520 მანეთი. ამ ანგარიშის გამოკლებით სჩანს ლამბაშიძეს მიუღია მისგან არა 6794 მანეთი და 76 კაპეიკის საწყობის მთელი ქონება, არამედ 6274 მანეთი და 76 კაპეიკისა. ამასთან ვალი დაუტოვებია საწყობისათვის გადასახდელად 5911 მანეთი და 1 კაპეიკი, რომ ყველა ნივთები გაყიდულიყო და ნისიგები აღებულყო, მაშინ ვალის დაფარვის შემდეგ ქონება დარჩებოდა საწყობს 363 მანეთისა და 75 კაპეიკის. ზოგიერთი მისი გადმოცემული ნივთები უფარვისობისა გამო თუ არ გაყიდულიყო, მაშინ

*) იხ. „მწყემსი“ № 9 — 10. 1900 წ.



საწყობს ამოდენი ქონებაც არ დარჩებოდა. როგორც აღმოჩნდა საწყობის შესავალ-გასავლის წიგნებისაგან 1898—99 წლებისაშიდ, დეკანოზის ღამბაშიძის მართველობის დროიდან საწყობის საქმე წარმოებდა და დღეს თვალად არის საქონელი 3582 მანეთისა.

ასაღები ნისიები 801 მან. და 32 კაბ.
 ოდიკების გაყიდვით სულ შემოს. 94 მ.
 ნაღდი ფულები 75 მან. და 71 კაბეიკი
 და სრულიად 4553 მ. და 3 კ.

ამასთან ვალი აღმოჩნდა გასასტუმრებელი 2818 მანეთი და 71 კაბეიკის. ამ ვალის გამორიცხვით და ყოველივე ხარჯის გარეშე საწყობს რჩება ქონება 1734 მანეთის და 32 კაბეიკისა, საწყობის ავეჯოჯოლობის გარდა. აქედან თქვენნი მუღუფება ცხადათ დაინახავს, რამდენად მეტი ქონება დარჩენია საწყობს ამ ორი წლის განმავლობაში წერეთლის გამგეობის დროისაზედ. ყვირილის მყოფი საეკლესიო ნივთების საწყობისაგან, ზოგიერთა ნივთები რომ რიგიან ფასად ყოფილა მოპოვებული, ამას ცხადათ ამტკიცებს ის გარემოება, რომ 1802 მანეთისა და 41 კაბეიკის ნივთებისაგან 552 მანეთისა და 83 კაბეიკის ნივთების გარდა ყველანი გაყიდულა, ამ ნაირად საწყობს თანხა სავაჭროდ მოუპოვებია. მოგება თითქმის ყველა ნივთებიდან, როგორც საზოგადოდ სხვა ნივთებისაგან 20 პროცენტი მოგება რომ ვიანგარიშოთ, საწყობს მოგება რჩება. ამ ნაირად საწყობის საქმის წარმოებას ამ ნივთების გადმოტანა კარგა დახმარებია. ეს გარემოება ცხადათ სიხანს იქედან, რომ გადმოტანილი ნივთებისაგან გაყიდულა 1249 მანეთისა და 58 კაბეიკის ნივთები, რომლიდამაც საწყობს შემოსვლია სარგებლობა 248 მანეთი. ამას გარდა დეკ. ღამბაშიძის წიგნებისა და ბლანკების გაყიდვით საწყობს შეუძენია 36 მანეთი და 97 კაბეიკი და სრულიად 284 მანეთი და 97 კაბ. ეს ანგარიში შესავალ-გასავლის წიგნებიდან ისე ცხადათ სიხანს, რომ ყოველ კაცს შეუძლია ნათლად დაინახოს, ამისათვის მე ვერ ამიხსნია, რამ აიძულა სარევიზიო კომისია, სამღვდლოების კრებისაგან აღრე-

ული, რომელმაც ყალბათ მოახსენა კრებას, რომ ყვირილიდგან გადმოტანილი ნივთები გაყიდულა ყოს მარტო 210 მანეთის და სარგებლობა ამისგან შემოსულიყოს 31 მანეთი მარტო. ყველა ზემოხსენებული მოფიქრება მიიძლეებს მოვასხნო თქვენს მუღუფებას: იმერეთის საეკლესიო ნივთების საწყობის ქონება ძლიერ სასარგებლოა საღვდლოებისა და ეკლესიებთათვის, მაგრამ დიდი გამჭირაობას მოითხოვს საწყობის მართველებისაგან, დიდი გამოცდილი უნდა იყოს კაცი აღბე-მიცემობის საქმეში, რომ საწყობის საქმე სასარგებლოდ წაიყვანოს. ბევრი ნივთები არის წერეთლისგან ნაყიდი, რომელიც ზარალის მეტს საწყობს სარგებლობას არ აძლევს. ნივთები არის ნასყიდი რამოდენიმე ასი მანეთისა, ოთხი-ხუთი წლის განმავლობაში კაცი არ ყიდულობს. ამოდენი ხნის განმავლობაში საწყობის თანხას არავითარი სარგებელი არ მოაქვს, მაშინ როდესაც საწყობი კი სარგებელს აძლევს ნასესხებ ფულებში. წერეთლის დროს 5911 მანეთი და 1 კაბეიკი იყო ვალი, დღეს ეს ვალი იმდენად გასტუმრებულია, რომ საწყობს 2818 მანეთი და 71 კაბეიკის მეტი ვალი არა რჩება. მიუცილებელი საქირაა, რომ საწყობმა ეს ვალი თავიდან მოიშოროს და თუ საწყობი თავისი საკუთარი თანხით დაიწყებს მოქმედებას, მაშინ საწყობის ქონება სასარგებლოც იქნება და სამღვდლოებაც უზრუნველი იქმნება ზარალისაგან.

იმერეთის ეპარქიის საეკლესიო ნივთების საწყობის საქმის წარმოების შესახებ საუმჯობესოდ მიმართა მოვასხნო თქვენს მუღუფებას შემდეგი: თქვენმა ყოვლად უსამღვდლოესობამ კეთილი ინებოს დანიშნოს სარევიზიო კომისია, ვაჭრულის ანგარიშის მცოდნე საიმედო პირნი, რომელთაც მიენდოს როგორც ეს საეკლესიო ნივთების საწყობი, ვგრეთვე საეკლესიო სანთლის საწყობიცა, ამ სარევიზიო კომისიამ ყოველს ექვს თვეში წარმოუდგინოს თქვენს მუღუფებას ანგარიში რევიზი-



ისა მოხსენებით: თუ რაოდენი მოუპოვებია საწყობში საქონელი და როგორი ხარისხისა, რაოდენი ვაყიღულა და რაოდენი რჩება გასასყიდლად. რაოდენი შემოსულ არს ფული, რაოდენი დახარჯულა და რა საქიროებისათვის, აგრეთვე ვის რაოდენი მოუპოვებია საწყობიდან ნივთები ნისიად. დაველოდო ამ კომისიის თვალ-ყური აღევნოს საწყობათა დავთრების წარმოებას, ამ კომისიამ ესრეთი თავისი ანგარიში მოახსენოს სამღვდლოების დეპუტატთა მორიგი კრების დროს კრებასაც.

მე როგორც ვიცი ამისთანა სარვეიზიო და ზედამხედველი კომიტეტები თათქმის ყოველ ეპარქიებში არიან დანიშნული სასულიერო მთავრობისაგან და ამით საქმის წარმოებას დიდად ხელს უწყობენ. ამისთანა სარვეიზიო კომიტეტების მოქმედება ბევრად რიგიანი იქმნება, მინამ სამღვდლოების დეპუტატთა კრების დროს ნაჭარბად გამოუცდელი კაცების დანიშვნა, რომელიცა არა ერთ გზის მოხდა უკანასკნელი სამღვდლოების კრებაზედ.

ეს მოხსენება მათმა ყოვლად უსამღვდლოესობამ გარდასცა მომავალ სამღვდლოების კრებას განსახილველად. იმედია, რომ შემდეგი მორიგი კრება უფრო გონივრულად და მიუდგომლად განსჯის საქმეს და არ დაემორჩილება ორი და სამი მყვირალა დეპუტატების აზრს, რომელნიც ფიქრობენ, რომ ისა მცოდნე და გამჭირაბი, ვინც მეტს ილაპარაკებს და ხმაბლდობ.

მსხმითის საკიბულო ტაძრის განახლება ამ მიმდინარე საუკუნეში (XIX ს.)



დასასრული *)

თავარ ეპისკოპოსმა ეგვენიმ წარუდგინა უწმ. სინოდს ეს ხარჯთა აღრიცხვები და მასთან მისწერა, რომ მცხეთის ტაძრის შეკეთება მიუტილებლად საქიროა, თორემ ეს შესანარშნავი ძველი ნაშთი ისე დაზიანდება, რომ შემდეგ მისი შეკეთება სრულებით შეუძლებელი იქნება, ანუ მოითხოვს უფრო მომეტებულ ხარჯს, ვინემ ესლაა ნაანგარიშები ამ ტაძრის განახლებისათვისო. ტაძრის შეკეთება იმიტომ უფრო საქიროა, რომ ღვთის-მსახურების დროს შიგნით ქვები სცივია და შეიძლება ტაძარი მთლად დაინგრეს. შემდეგ მთავარ-ეპისკოპოსი ეხება კანტარის შემოსავალს და აქვე იხსენიებს, რომ დიდის ხნიდამ საქართველოს სასულიერო მთავრობა, შეძლებისადგვარად, ამოკლებდა გასავალს, რომელიც დადგენილი იყო ხარჯთა აღრიცხვით, და ამ სახით ყოველ წლებით არჩენდა ცოტაოდენს ფულს, რომელსაც აგზავნიდა. მოსკოვის შემნახველ კასსაში სასარგებლოდ. ამ ფულის ჯამი 1 დეკემბრიდან 1835 წ. იყო: ევრცხლით 24,075 მან. 35 კ.; ქალაქის ფული 655 მ., ოქრო 1891 მან. და მოსკოვის შემნახველი ხაზინის ბილეთებით 446,250 მან. მაგრამ ამ დარჩენილი ფულების ნახევარი უმინისტრთა კამიტეტის უმაღლესად დამტკიცებული დადგენილების თანახმად, ითხოვება ტფილისის საზოგადო სამადლო პრიკაზის სასარგებლოდ. და შემდეგი დროისათვისაც სამოქალაქო უწყებაში მოხდენილი განკარგულებით, პრიკაზის სასარგებლოდ უნდა გადაიდვას ხოლმე რამდენიმე ნაწილი ამ შემოსავლისა. ამიტომ მთავარ-ეპისკოპოსი ეგვენი სთხოვს უწმიდეს უმართებელეს სინოდს, რომ მან გამოითხოვოს ხაზინიდან თანხა, რომელიც საქიროა როგორც მცხეთის ტაძრის გასამშენებლად და შესაკეთებლად, ისე ამ სობოროს ყველა შენობათათვის, რომელნიც დაუყენებლივ ითხოვენ შეკეთებას.



*) იხ. „მწვეთსი“ № 12, 1900 წ.



უწმიდესმა სინოდმა ამ საქმის შესახებ ყველა მოხსენებათა განხილვის შემდეგ დადგინა: „ვინაიდან დიდ-ძალი ფული ითხოვება მცხეთის ტაძრის განახლებისა და მასთან სამრეკლოს ასაშენებლად, ამიტომ საქართველო-იმერეთის კანტორას უარი ეყოს ხაზინიდან ამ ტაძრის განახლებისათვის საქირო ფულების მიცემაზე და მასთან ერთად მიეწეროს: რომ მცხეთის ტაძარი განახლებულ იქნეს იმ თანხით, რომელიც შვედრიაელი საქართველოს ეკლესიების მემოსავლიდამ და ამ საქმეს ეხლავე შეუდგენს; ბ) აღნიშნულ ტაძართან სამრეკლოს აღშენება, რომელიც მაინცა და მაინც დიდ საქიროებას არ შეადგენს, და რომლის წინა პირი არ შეშენის საკრებულო ტაძრის შენობას, დროებით გადიდვას; გ) სობროოს შესაკეთებლად საქირო ფული დახარჯულ იქნეს ხარჯთა აღრიცხვის თანახმად, მაგრამ ფულების ხარჯვის დროს დასულ იქნეს ყოველ გვარი დამზოგველობა; დ) აღნიშნული მიზნისათვის დიონისის აღმაშენებელი კამიტეტი გამოკიდულ და კვირდ საიმედო პირთაგან. თვით სინოდალნი კანტორის ზედამხედველობით და პასუხის გებით; ე) ტაძრის განახლების შემდეგ უწმ. სინოდს წარედგინოს ვრცელი ანგარიში ყოველ გვარი მოხდენილი ხარჯებისა.

ამ უქაზის მოსმენის შემდეგ საქართველო-იმერეთის სინოდალნი კანტორამ უკვე შედგენილ ხარჯთა-აღრიცხვაში შეინიშნა ზოგიერთი ნაკლებობა და ამიტომ კანტორის ხუროთ-მოძღვარს უ. რიპარდს მიანდო ვრცელი ხარჯთა-აღრიცხვის შედგენა და კანტორაში მისი წარდგენა რამორტიკურით. მცხეთის ტაძრის მხატვრობის შესახებ, რომელზედაც ხარჯთა-აღრიცხვით ითხოვებოდა 4,000 მანეთი, კანტორამ დაადგინა იქონიის ამ საგნის შეჩაბებ მსჯელობა, როცა ტაძრის განახლება მოთავდებოა. განახლება და შეკეთება მცხეთის ტაძრისა, უწმ. და უმართებელესი სინოდის ნებართვით, სინოდალნი კანტორამ 1837 წელს მისცა იჯარით ტფილისის მცხოვრებს, სახაზინო გლეხს ხეჩო დარჩილოვს 28,696 მანეთად, მასთან მოიჯარადრემ გიროად წარმოადგინა ორი ბაღი: ერთი სოფელ დილოში, ხოლო მეორე სოფელ აქვალაში, დუქანი სარდაფით და ორი სახლი ტფილისში, რომელნიც ეკუთვნოდნენ გლეხს ბაზაშვილს. თანახმად 14 ივნის 1837 წელს შეკრული კანტორაქტისა დარჩილოვი ვალდე-

ბული იყო სამ წელიწადში დლიდგან კანტორაქტის შეკერისა გაეთავებია და განეხლებია მცხეთის ტაძარი და სახელდობრ: პირველს წელს: ა) დანგრეულ იქნეს გვერდის ორივე მინაშენი და პატარა ეკლესია ჩრდილოეთის მხრით, გაშენებულ იქნეს ყველგან, სადაც რიგია, ტყეები, რომელიც საქიროა მთელი ტაძრის გარეგანი მორთულობისათვის; ბ) ანგურის კედლები, რომელიც აღყვანილია უმთავრეს თალზე და თვით ანგურის თალი, რომელზედაც დამაგრებულია სახურავი, გაკეთებულ იქნეს რაც შეიძლება მტკიცედ, ალაგ-ალაგ, სადაც საქიროა, ახალი მასალით. და გ) მოშლილ იქნეს მთელი სახურავი, გარდა გუმბათისა. სახურავი გაკეთდეს ქვის ძველი ფიქალბით, რომელიც ვარგანა, ახალი ფიქალბების დამატებით, ამასთან ყურადღება მიექცეს, რომ ყველა ახალი ფიქალბი იმავე ფერისანი იყუნენ, როგორც ძველები, მაგრამ უფრო უკეთესნი და მედგარნი. მეორე წელიწადს დარჩილოვს უნდა გაეთავებია ყველა გარეგანი სამუშაო ტაძარში და ნაწილი შინაგანი სამუშაოებისა, რომელნიც ჩამოთვლილნი არიან კანტორაქტაში. მცხეთის ტაძრის განახლება და შეკეთება დარჩილოვს უნდა ეწარმოებია სინოდალნი კანტორის მიერ დადგენილი აღმაშენებელი კამიტეტის თვალ-ყურის გდებით.

მოიჯარადრე დარჩილოვმა ეს პირობანი ისე ვერ აღასრულა, როგორც რიგი იყო. როცა მოიჯარადრე დარჩილოვმა განცხადება შეიტანა კანტორაში 24 ავისტოს 1842 წელსა, რომ ყოველივე მუშაობა მცხეთის ტაძრის შესახებ მან უკვე დაამთავრა თანახმად კანტორაქტისა, სინოდალნი კანტორამ მიანდო თავის წევრთ, დეკანოზებს: ალექსიევს და მიხაილოვს, რომ მათ ინჟენერ-პოლოკონიკის სოლინის და სინოდალნი კანტორის ხუროთ-მოძღვართან ერთად შეიმოწმონ ყოველივე ნამუშევარი ტაძარში. მუშაობის შემოწმების ოქმისაგან, 27 ნოემბრიდამ 1842 წ., სჩანს, რომ მოიჯარადრეს გაუთავებელი ჰქონდა შემდეგი სამუშაოები: არ იყო გადაკეთებული კარები ჩრდილოეთის და სამხრეთის წინა პირებში, არ იყო დაგებული იატაკი ახალი ანგურით; დარბაზთა განყოფილებაში, რომელნიც აღშენებულნი არიან სალაროსა და სამსხვერპლოს ზემოთ და რომელნიც მოსჩანან ტაძრიდან, თაღები შეუღუსტლია, ფანჯრების ზოგი ჩარჩოები არ არის გაეთვრებული კირით, რომ გარე-

განი სინოტიე არ შევიდეს ტაძარში და სხ. ამას კამმისიამ დასძინა ისიც, რომ იმ ადგილების ხელახლად გაღვსა, სადაც სილა და კირი მოშორებია კედლებს სინოტიეს მიზეზით, უნდა მოხდეს მოიჯარადრის ხარჯით, ვინაიდან მას არ შეუძრსრულდება რიგიანად პირობის ყველა მუხლები, სინოდალნი კანტორამ მოიჯარადრეს დარჩილოვს ჩამოართვა პირობა, რომ იგი შესარულეს კამისიისაგან შენიშნულ ნაკლებულებათ, და დაუბრუნა მას გირაო გლეხის აბაზაშვილისა და მისცა იჯარის ანგარიშში 6000 მანეთი. მასთან სინოდალნი კანტორამ მისწერა კამიტეტს ყურადღება იქონიოს, რომ ხელაწერაში ჩამოთვლილი სამუშაოები აღსრულებულ იქნეს დარჩილოვის მიერ 1843 წ. ზაფხულში. შემდეგ, როცა სინოდალნი კანტორამ კამიტეტის მოხსენებისაგან დაინახა, რომ ტაძრის თაღებიდამ სცვივა სილა და კირი და განგოზილობა (штыка-тырка) საიმედო არ არისო, მიმართა მან მთავარ მართებელს და თხოვა, რომ მას სამხედრო ანუ სამოქალაქო ინჟენერთაგან დაენიშნა ვინმე, რომ მას ხუროთ-მოძღვარ რიზარდისთან ერთად გამოეცვლია მიზეზი, თუ რატომ სცვივა განგოზილობა ტაძრის კედლებიდა. ამ მიზნისათვის დანიშნულ იქმნა კამისია, რომლის წევრებად დანიშნულ იქმნენ ინჟინერი შტაბს-კაპიტანი ფონ-მილდერი, ქალაქის ხუროთ-მოძღვარი ივანოვი, პოდპოლკოვნიკი გრაუერშტ და სინოდალნი კანტორის ხუროთ-მოძღვარი რიზარდი. კამისიას, როგორც ჩანს მისი ოქმისაგან, 6 მაისიდან 1844 წ. № 3904 *) დაუთვალაიერებია მცხეთის ტაძარში ყველა მოხდენილი მუშაობანი და დაუდგინა შემდეგი: 1) მცხეთის ტაძარში განგოზილობა მოკლებია კედლს, უმეტეს ნაწილად აბერილა; 2) თაღების უმეტესი ნაწილი დღესაც შეიცავს სინოტიეს, რომელიც უნდა მოისპოს შელესამდე; 3) თაღებში უმეტესად ნესტიანი ადგილი იქ არის, სადაც განსაკუთრებული ხარაჩოების უმექონებლობისა გამო არ შეიძლება გამოკვლევა სინოტიეს მიზეზთა, მაგრამ ნესტიანი ადგილები ცხადად ამტკიცებენ, რომ ეს სინოტიე წარმომდგარა და ესლაც ჩნდება იმის გამო, რომ სახურავში ჩამოდის წვიმის წყალი; უმეტესი სინოტიე კედლების

ზემო ნაწილებში წარმოსდგება წვიმებისაგან ქარის დროს, ვინაიდან კარნიზი სრულებით არ არის გადმოფარებული კედელზე და არც ღარები აქვს სახურავს. კედლის ზოგი ნაწილები, დიდდგან ამ ტაძრის აშენებისა, ნოტიავდებიან ტაძრის გარშემო დამდგარი წვიმის წყლისაგან, ამასთან შენიშნულია რომ ის ქვები, რომლითაც აშენებულია ტაძარი კედლები, ძლიერ იზიდავენ სინოტიეს. ამის გამო, ვინაიდან კედლები გარედგან არაფრით არ არიან დაფარულნი, გარედამ სინოტიე უწყევს ტაძრის შიგნით. გარდა ამისა ტაძარს არა აქვს საკმაო ფანჯრები, რომ ტაძარში საკმაოდ იმუშაოს ჰაერმა, ამის გამო ტაძრის შინაგანი ჰაერი შესამჩნევად განიჩევა გარეშე ჰაერისაგან. ზემოთ აღნიშნულ საფუძველთა ზედა კამისიის წევრნი ერთხმად აღიარებენ: 1) ყოველივე ნაკლებულობა მცხეთის ტაძარში იმის მიზეზით, რომ კედლების გაღვსის დაწყებამდე არ ცდილან მოეხათ სინოტიე; ე, ი. არ გაუშვრიათ ჯეროვანად კედლები; შემდეგ ჯეროვანად გაუბრბელები კედლები შეუთეთებიათ კირით.

ამ ნაკლებულებათა მოსასობლად კამისია საჭიროდ რაცხს: 1) სადაც განგოზილობა აბერილა, მოიფხიკოს ანგურით ანუ ქვით, სადაც კირი მთლად მოცილებია კედელს, ის ადგილი ხელახლად გაიღვსოს, მაგრამ კედელი წინდაწინვე კარგად უნდა გაიწმინდოს მტვერისაგან; 2) სახურავი ყველგან ძლიერ კარგად უნდა გაკეთდეს; სადაც კი დაზიანებულია, რომ არსად შიგ წვიმის წყალი არ ჩამოვიდეს, მასთან სახურავს გაუკეთდეს ღარები და მილები; 3) ტაძრის გარშემო მიწა გასწორდეს, შემდეგ დაეგოს ფილაქანი ქვა ცრტა მდლად და ფილაქანის გარშემო გაკეთდეს თხრილი; 4) ტაძარში შიგნით მაშინ შეათეთრონ, როცა შემოწმებულ იქნება, რომ ტაძრის შიგნით სინოტიე აღარ არის და ეს სინოტიე რომ მოისპოს, აუცილებლად საჭიროა, რომ ტაძრის კარები და ფანჯრები კაი ამიდის დროს ხშირად იღებოდეს, რომ ტაძარში ჰაერმა იმუშაოს. სინოტიეს მოსასობლად, რომელიც ებარება ტაძარს გარედგან, ნაჩვენები იყო, რომ ტაძრის კედლები შიგნიდან გაეღვსათ ხუთოვანი საღებავით.

შემდეგ კამიტეტმა და ხუროთ-მოძღვარმა რიზარდიმ მოახსენა სინოდალნი კანტორას, რომ დარჩილოვს კამისიის ყველა შენიშვნები რიგიანად შე-

*) კამისიას ოქმი იმექონება საქართველო-იმერეთის სინოდალნი კანტორის ზემოთ აღნიშნულ საქმეში.



უსრულდება. ამ მოხსენების შემდეგ სინოდალნი კანტორამ მოიჯარადრესთან შეკრული პირობის მე-10 მუხლის საფუძვლის ძალით მისწერა კამიტეტს, რომელსაც შეადგენდნენ კანტორის წევრნი დეკან. დ. ალექსეევი, ორი მღვდელი გრიგორიევი და აღნიაშვილი ხუროთ-მოძღვარ რიპარდისთან ერთად ხელახლად შეემოწმებიათ მცხეთის ტაძარში ყველა მოხდენილი სამუშაოები. კამიტეტი რაპორტით, 20 დეკემბრიდან 1844 წ. ამ საგნის შესახებ აცნობებს სინოდალნი კანტორას შემდეგს: 1) ტაძრის ვარეთ ნაწარმოები მუშაობა შესრულებულია თანახმად პირობისა კარგად და წმინდად. მხოლოდ სამხრეთის მხრით სლოაროს ქვეშ მღვდლის ი. ბორისოვის ჩვენებით, წვიმის დროს სახურავში წყალი სდის; 2) ტაძრის ბევრ ადგილას განგოზილობა ჩამოცვნილ უწინდელი სინოტივს მიზეზით; 3) საეა, რომლითაც გაღესილია კედლები, გაშავებულა სინოტივს მიზეზითვე; 4) ჩრდილოეთის დიდ თაღზე, რომელიც მესამედ გაღესილია სილით და კირით, გამოჩენილია ნაპრალები 1). შემდეგ ხუროთ-მოძღვარ რიპარდს განუცხადებია, რომ მთელი ტაძრის შიგნი პირის გათეთრება მას მიაჩნია ფუქად, ვინაიდან განგოზილობა ადგილ-ადგილ, სადაც სინოტივა, ყოველთვის ჩამოვარდება, ეს იქიდან ჩანს, რომ განგოზილობა მშრალ ადგილებზე კარგად ადგია, ხოლო ნოტიო ადგილებზე კი ფუქდება და შორდება კედელს, როგორც მტერი. განსაკუთრებით სილაკირით გაღესვა ფუქი იქნება ჩრდილოეთ-დასავლეთის შენობის პირზე, სადაც შხის შუქი არა დროს არ ადგება. ხოლო რომ სინოტივი პოისპოს ტაძარში, საქირთა რამდენიმე წელიწადი 2). ვინაიდან მოიჯარადრე დარჩილოვმა მცხეთის ტაძარში სამუშაოები უკვე შეასრულა და მასთან პირობა დადვა, რომ კამისიის მიერ ყველა შენიშნულ ნაკლებულემათ მცხეთის ტაძრის განახლების შესახებ იკი თავის ხარჯით აღსრულებს ზაფხულში 1845 წ. 3), სინო-

დალნი კანტორა მთლად გაუსწორდა დარჩილოვს და მისცა მას დარჩილი ფულებიდან 3,696 მანეთი. თუმცა შემდეგში დარჩილოვმა, როგორც მოხსენებულა კომიტეტის რაპორტში, 13 ივლისიდან 1845 წ., ნამდვილად გააკეთა თაღებზე ჩამოცვნილი სილა და კირი და კიდევ შეათეთრა, მაგრამ არ ამოულესავს ტაძრის სახურავზე ქვის ფილაქების ნაპირები, რისა გამო წვიმის დროს წყალმა იწყა დენა ტაძარში, და აქედამ წარმოდგა სინოტივ ტაძარში. მოიჯარადრის ხელო დარჩილოვის სიკვდილის გამო სინოდალნი კანტორამ მისწერა კამიტეტს, რომ მას დაუყონებლო მოედინა განკარგულება, რომ სახურავის ფიქალების შუა ადგილები დეზამასკებია კოწიფის (мастика) და ამ ხარჯისათვის საჭირო ფული ესესხათ ტაძრის საშუალებიდან. შემდეგ, როცა მოიჯარადრის დარჩილოვის შეილისაგან შემოვიდა ახოენა, რომ მისთვის დაებრუნებიათ გირად წარდგენილი მამულები, სინოდალნი კანტორამ დაადგინა: ვინაიდან მცხეთის ტაძრის სახურავის ფიქალების დასახამასკებლად აღმაშენებელმა კომიტეტმა დახარჯა ტაძრის ფულებიდან 559 მან. და 40 კ. ამიტომ იმ მამულებიდან, რომელნიც დარჩილოვს გირად ჰქონდა წარმოადგენილი, დაუბრუნდეს მის შეილს ერთი ბალი, ხოლო მეორე დარჩეს კანტორის განკარგულებაში იმ დრომდე, ვიდრემდის მოიჯარადრის მემკვიდრე არ გადისდის ზემოდ აღნიშნულ ფულს. შემდეგში კი, როგორათაც სჩანს საქმეებიდან, სინოდალნი კანტორას, მიუღია რა სახეში, რომ დარჩილოვის ნამუშევარი მოუწონებია სინოდალნი კანტორის ხლოთ-მოძღვარს უ. რიპარდს და ისიც, რომ ფიქალების დასახამასკება მოუხდენიათ ძლიერ გვიან, ექვსო წლის შემდეგ, დაუდგენია დაუბრუნდეს მოიჯარადრის მემკვიდრეს დარჩილოვს გირავნობით მოწმობა, მის მიერ წარმოადგენილი 200 მანეთი კი დაუბრუნდეს მცხეთის ტაძარს იმ 559 მ. 40 კ., რომელიც იქნა დახარჯული, ხოლო 359 მ. 40 კ. შეივსოს ქართლის ეპარქიის საზოგადო ხაზინიდან.

1) ოქმი სამუშაოთა შემოწმებისა, რომელნიც მოხდნენ მცხეთის ტაძარში საქართველო-იმერეთის სინოდალნი კანტორის საქმე 1835 წ. № 669. ნაწილი V, გვერდი 218.

2) რაპორტი ხუროთ მოძღვარის რიპარდისა 18 ენკენის-თვიდან 1844 წ. № 2962—3862. (იქვე გვერ. 204.

3) პირობა მოიჯარადრე დარჩილოვისა 12 ნანვრიდან 1845 წ. (იქვე გვერდი 210).

ამ განახლების დროს, სხვათა შორის, მცხეთის ტაძარში დაუნგრევიით გვეტრები, რომელნიც მიშენებულნი ყოფილან ჩრდილოეთის და სამხრეთის მხრით და პატარა ეკლესია ჩრდილოეთის მხრით. როგორც ხუროთ-მოძღვრისაგან, ისე აღმაშენებელი

კამიტეტისაგან მოიჯარადრეს ნაბანები ჰქონებია, რომ ამ შენობათა დანგრევა მას უნდა დაეწყო გუმბათებიდან, იმან კი ეგუტრების კედლები ააუეთო ქა წაშლით სამის მხრით, რასაც გამო ტაძრის საკურთხევის კედელი გასკდა.

საქართველო-იმერეთის სინოდალნი კანტორის საქმეებში ამ საგნის შესახებ ჩვენ ვნახეთ ძლიერ სინტერესო მოხსენება ხუროთ-მოძღვრის უ. რიპარდისა, რომელიც გაუზღავნია კანტორას განახლებული ტაძრის ადგილობრივ დასახედავად.

უ. რიპარდს ყურადღებით გაუსინჯავს განახლებული მცხეთის ტაძარი და შემდეგ მოუხსენებია კანტორისთვის: ტაძრის პირველ შენედეოთე დარწმუნდება კაცი, რომ მცხეთის ტაძრის განახლებით და შეკეთებით დაუკარგავს თავდაპირველი თავისი სიმაგრე-სიმტკიცე, ეს ასეც უნდა მომხდარიყო, ვინაიდან ამ გარი განახლების და შეკეთების დროს ძნელი იყო დაკვა როგორც შენობის სიმტკიცისა, ისე საჭირო თან-შემომიღებისა (симметрия). 1) ძველი ეგუტრები ჩრდილოეთის და სამხრეთის მხრით, რომელნიც დღეს დანგრეულნი არიან, ტაძრის მთელს შენობას აძლევდნენ სიმაგრეს და სიმტკიცეს. ნაპარლები თაღებში და ბევრს ადგილს კედლებში ტაძრის შიგნით და გარეთ, რომელნიც დიდს ხნიდამ გამოჩენილან, შედგენი არიან კედლების ზემო სიმაღლისა და გვიჩვენებენ, რომ ეს ეგუტრები მიშენებულნი იყვნენ ტაძრის შენობის გასამაგრებლად. თუ რა საჭირო იყო ეს ეგუტრები ტაძრის შენობისათვის, ეს იქედამ სჩანს, რომ ეს შენობა სხვა-და-სხვა დროს და ბევრს შემთხვევაში შეკეთებულა და ამ შეკეთების შესამჩნევად დაუზარალებია ის გაქვავებული სიმაგრე, რომელიც არის შიგნით და გარეთ შენობის პირობა მხრივ, და რომელზედაც დაფუძნებულია მთელი ტაძარი და რომელნიც როგორც კორპუსი—შენობის სხეული, ყველაზე უფრო უნდა დაიცვათ და შევიხაზოთ. 2) ახალი ქვები და კირი, რომელნიც ძველების მაგიერ არიან ნახმარნი, ძლიერ ბევრი დროა საჭირო, რომ გამაგრდნენ ისე, როგორც ძველი ქვა და კირი იყო მტკიცე. ეს მართლა, არც ისეთ სიმაგრეს მისცემენ შენობას, როგორიც გვინდა და გარდა ამისა რამდენიმე წელიწადია საჭირო, რომ ახალი მასალი მტკიცედ მიადგეს ძველს მასალას. 3) ჩრდილოეთის მხრით შემდგეში მიუშენებიათ ძველი კედლისათვის

სხვა ახალი კედელი. პირველი შენედეოთე ეს ახალი მიშენებული კედელი ცოტა გამოწეულია და ამიტომ სიმშენეოთეურს უკარგავს ტაძარს. საჭიროა, რომ ეს კედელი დაიტკეს. მაგრამ აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ ეს კედელი ამაგრებს შენობის ჩრდილოეთის პირს. ზემო ნაპარლები, რომელნიც მიჩანან ეკლესიების გარედამ და შიგნით, ცხადად გვიჩვენებენ იმ დანიშნულებას, რისთვისაც ეს ახალი კედელია მიშენებული. ამიტომ აუცილებლად საჭიროა დარჩეს ეს კედელი იმავე მდგომარეობაში, რომელშიაც დღეს არის. 4) საზოგადოდ ყველა ძველი თლილი ქვები, სხვა-და-სხვა ფერისა და თვისებისა, ისე მტკიცედ არიან შეერთებული შენობის შუაგულ მასალასთან, რომ მათ გამოსაძრობად საჭირო ხდება რკინის სოლები და წერა-ქვები. ამიტომ ტაძრის შენობის სიმაგრის დასაცავად საჭიროა, რომ ქვები არ გამოვიდოთ ძველი. ადგილებიდან, მხოლოდ ჩამოვთალოთ გაფუძნებული მხარე და თუ უფარგისნი აღმოჩნდებიან, მათ მაგიერ ახალი გავაკეთოთ; თუ შენისწავთ, რომ ქვა თავად მაგრად არის მაგრამ ნაწილი ჩამოტეხილა, მაშინ უკეთესია ეს ნატეხი ქვა მიუმაგრეთ თავის ადგილს, ანუ კირით ამოვაცხოთ ის ადგილი, და ქვა კი არ გავანაშროთ თავის ადგილიდან. ეს შესაძლებელია, ვინაიდან განახლება შენობისა ახლად აღშენებს კი არ ნიშნავს, არამედ აუცილებელ საჭირო შეკეთებას, მაგრამ ამავე დროს უსათუოდ დაკულ უნდა იქნეს შენობის თავდაპირველი სახე. 5) რაც შეეხება ლურჯი ქვების მოხმარებას, რომელნიც დარჩნენ ეგუტრების მოშლის შემდეგ, ჩემის აზრით, ეს ქვები, რომელთაც აქვსთ შესაფერი სიმაგრე, შეიძლება ვიხმაროთ შენობისათვის. მხოლოდ საჭიროა მათ ცოტა გათლა. ეს ქვები, ხუროთ-მოძღვრის სიტყვით, განგებ ყოფილა მოტანილი შენობისთვის ისეთ შორეული ქვეყნებიდან, რომელნიც დღესაც არ ვიცით, როგორც მთელი გუმბათი, ისე ტაძრის სხვა ნაწილები ერთ გვარად იყვნენ შემოშენებულნი როგორც ლურჯი, ისე სხვა ფერის ქვებით, რაც მოწმობს, რომ ეს ქვები სხვა ქვეყთან ერთად მოსახმარნი და მაგრამ არიან.

ამ განახლების დროს მცხეთის ტაძრის გუმბათზე სხვა ჯვარი დაუდგამთ. 8 ივნისიდან 1842 წლისა კამიტეტის წევრნი აცნობებენ კანტორას, რომ მოიჯარადრე დარჩილოვა მოიძიან ბრინჯაოს



ჯვარი მოაქვრილი, ცოტა გაბრუნდული და ეს ჯვარი კამიტეტის ნება-დაურთველად დაადგა გუმბათზე.

მცხეთის ტაძრის განახლება, რომელიც დაიწყო 1837 წ. მთავარ-ეპისკოპოსის, საქართველოს ექსარქოსის ევგენის დროს, დასრულდა 1844 წ., საქართველოს ექსარქოსის, მთავარ-ეპისკოპოსის ისიდორეს დროს და მოიჯარადრის სიკვდილის გამო გავრძელებულა 1858 წ. ამ სახით ამ ტაძრის განახლება გავრძელებულა 21 წელიწადს.



შ უ ა - მ თ ა .

„შუამთის (ხახულის ღვთის-მშობლისა) მონასტერი“ მდებარეობს კახეთში, თელავიდან გამბორის მხრივ რვა ვერსზედ. მონასტერს ნახევარი ვერსის მანძილზე ჩაურბის მშვენიერი გზატკეცილი, გომბორ-თელავის საფოსტო გზისა. სამ კუთხეზე არტყია ტურფად სანახავი, ათას გვარ დაქუჩუნებული ქოჩორა ხეებით შემოსილი მთა გრეხილები. ხოლო მეოთხე კუთხე ჩრდილოეთის მხრივ გამყურებს პირ-დაპირ ამაყად მდგარ ალავერდის მონასტერს და ფინანსად გადაშლილს ათას ფერად აყვავებულსა და აბიბინებულს ალაზნის ველს, შემკულს სოფლებით, სახნავ-სათესითა და ბაღენახეებით.

მონასტერს რამდენიმე ვერსი სამხრეთ აღმოსავლეთისაკენ ხელის გულივით ვაკე საბაღე-სათიბ-საბალახე ადგილი არტყია. მონასტერი ძველებური საკიხე მაღალის გალავნით არის შემოკრული, რომელსაც ხშირი სათოფეები აქვს დატანებული. გალავანს გარეთ ორი სახლია აშენებული მოაჯირებით მომსგეღლ მლოცავთა ბინად და ღამის სათევად. იქვე გადმოსჩქეფს ცივი-ანკარა წყარო, რომელიც მიღებით გამოუყვანია ამ მონასტრის წინამძღვრად მყოფობის დროს დღეს იმერეთის ეპისკოპოსს ყოვლად სამღვდელო ბესარიონს. სრული ტაძარი, მაღალის გუმბათით ახლავან და დიდებული შეხედულებისაა. დიდი გუმბათი დახუ-

რული აქვს მწვანედ შეღებულის თუნუქით, ხოლო კალთები კრამიტით. ეტყობა, კრამიტის კუთხე-გადასამბელებში საკმაოდ ებარება წვიმა. გარეთ კუთხეები როგორც დასავლეთისა, ისე აღმოსავლეთ-სამხრეთისა წვეთისაგან ჩამორეცხილია, თუმცა შიგნიდან-კი წვიმისა ჯერ-ჯერობით არა ეტყობა-რა. როგორც სწანს, მონასტერს იმდენი შეძლება არა ჰქონია, რომ როგინად გადაეხურათ. მონასტრის ხელ-მოკლეობა იქიდგანაც სწანს, რომ სულ სამი მღვდელ-მონაზონი მოღვაწეობს აქ და რამდენიმე მორჩილი, მეტის შენახვა მონასტრის შემოსავალს არ შესძლება, მაგრამ ღვთითა და ამ მონასტრის წინამძღვრის ალავერდის ეპისკოპოსის კირიონის მეტადინეობით, სრული იმედია ჩქარა ექმნება შეძლება მონასტერს იმდენი, რომ მოღვაწენი, ბერ-მონაზონ-მორჩილებიც გაიმრავლოს და თავის თავსაც კარგად მოუაროს: შუამთის მონასტრის კუთვნილ ადგილებში აღმოჩნდა ნავთი, რომელიც ყოვლად სამღვდელო კირიონს უკვე გადაუტყია კარგის პირობით საიმედო ამხანაგობისათვის.

შუამთის მონასტერი შემკული ყოფილა ძველად ძვირფასის მხატვრობით, მაგრამ კირი წაუსვით შიგნიდან და გაათეთრეთო, და მართლაც გაუთუთხნიათ კირით და ეს დიდებული ტაძარი ყაზარმასავით გაუთეთრებით, მხატვრობა მოუსპიათ.

წარსულს 1899 წელს, როცა ყოვლად სამღვდელო კირიონს მშვენიერი მოზაიკური იატაკი დაუგია მთელს მონასტერში, ტაძარიც გაუსუფთავებით რამდენადაც-კი ეს შესაძლებელი ყოფილა და რამდენზედაც კიბევებით შემწვდარან. ურეცხიათ კირი სხვა-და-სხვა საშუალებით, მაგრამ უფრო დიდი სამსახური ქლიავს გაუწევია. ქლიავის საშუალებით ჩამოურეცხიათ და აუწმენდიათ კირი და მრავალი ძვირფასი მხატვრობა აღმოუჩენიათ და მათ შორის კახთა მეფის ლეონ პირველისა, მისის მეუღლის დედოფლის თინათინისა და მათის შვილის გიორგის სურათები, იმ დედოფლის თინათინისა, რომელმაც ალაგო ეს ძვირფასი მონასტერი მეთექვსმეტე საუკუნის დასაწყისს. აქვე შესდგა დედოფალი მონაზონად და აქვე მიებარა მიწას. ქართველთათვის ამ მონასტერში ორი



ძვირფასი ნემტია დაკრძალული: ერთი ამ მონასტრის აღმშენებლის დედოფალის თინათინისა და მეორე პოეტის ალექსანდრე ქავჭავაძისა.

დედოფალი თინათინი დაკრძალულია ტაძარში ჩრდილოეთის მხრივ სამკვეთლოს ახლოს კედელთან, კედელში ახლოთ გუჯკეთებით შემეწიერი მარმარილოს ქვა ზედ-ამოკირილის სამეფო საცაყულებით და შემდეგის ზედ-წარწერით: „აქ მღებარე არს გეამი კახთა მეფის ლეონის მეუღლის თინათინისა ამა მონასტრის აღმშენებელისა. 1519 — 1534“.

აქვე გვერდზედ არის ჩამოკიდებული ჩაროთი მონასტრის შემდეგი დადგენილებანი:

„სახელითა მამისთა და ძისთა და სულის წმიდისათა“.

„1899 წელს აბრეღის 24-ს დღეს, შეწყვენითა დეთისათა, შეუდქით შუა შთის მონასტრის განსაღებს, იატკეის მოზაიკის გაკეთებას და ამა მონასტრის აღმშენებლის კახეთის დედოფლის თინათინის საფლავის განსაღებას.“

საფლავი კარდმოცემა უნდა ეოფილაეო სამკვეთლოსს და ჩრდილოეთის კარებს შუა და მართლად სექტორან ერთი ზტეკლი ჭვად ქვა იღვა, რომელიც ასეთს ხმას იღებდა, რომ მის ქვეშ უოთოდ ცრაკელი რამ უნდა ეოფილაეო, გადავიანდეთ მღერე ზანაშვიდი, ავსადკო ქვა და მწვანე ქაშხური აუერის ფილაქანი და მართლად შიკ აღმოჩნდა საფლავში შესავალი რვაკლი კარები, რომელიც საყუ ეო დორდით. ამოვასუეთაეო შესავალი კარები და გამოჩნდა თადეთ გადაუგანად. კაქით გავლენილი და დაფერილი აღებასტრის ფიგურებით შემკული სამარხი, რომელსაც სამ აღლამდინ ქქონდა სიკქე და სავსე ეოთ მუტუზლებით, ატმის გურკებით და ნაკვით. საფლავი დედოფლისა, რომელიც მდიდრულად ეოთილა შემკული, გაუარცნვეთ მავამადაჩესეს, მთავალ ტანჯულ საქართაეკლმა შემოსევის დრთს და ნაკვით აუესათ. რადესაც ნაკვი სრულიად გამოეიტანეთ, ვი-ზოანეთ ძვირფასი ნემტია მონასტრის აღმშენებლისა, რომელიც გამოსუეთაეუბულ საფლავში იქვე ერთად ჩავსევნეთ მოწიწებით და დაფერდალეთ.

ეს ეოთ 1899 წელს მასის 14-ს დღეს, რადესაც მოზაიკური იატკი დასრულდა, თინათინის საფლავი რომ არ დაკარგულიყო შთამომავლობისთვის, გაეკეთებანეთ მარმარილოს ქვა შესაფერის ზედ-წარწერით და საფლავის ასწერავ კედელში ჩავსეთ. ამასთან

შსტერობაც გაავსუეთაეოთ რამდენადც შეიძლებოდა და სასუფლეთის კარების მარჯვენა კუთხის კედელზედ გამოვანეთ სურათები: კახეთის მეფის ლეონ ზირველის, მეუღლის მისის დედოფლის თინათინისა და შთაშუადის გიორგის. ეს სურათებიც განვთავსეთ დედოფლის კარისაგან, რომელიც ჭვანავად ამ შესტერობას. ამ შემოსეუების გამო 9-ს ენკენისთვეს 1899 წელს გადავიანდეთ ზანაშვიდი შუა შთის მონასტრის აღმშენებლის კახეთის დედოფლის თინათინის სულის მისისსენკად და გადავსწესეთ ამოერადგან ეოთელს წელიწადს მამანი ამა მონასტრისათა ასრლებდნენ წირვის და ზანაშვიდს 9-ს ენკენისთვეს.

დემტმან ჭკითხის იმას, ვინც ეს დადგენილობა გადააკლდა და არ შესრულთს. 1900 წ. მასის 17-ს დღეს.

შუა შთის ხსულის დეთის-შობლის მონასტრის წინამძღვარი კირიანი, ემისკობოზა აღაეგრდისა.

შუა შთის მონასტრის სხვანადარი მღვდელ-მონაზონი ნიკიფორე, მთლარე მღვდელ-მონაზონი ნიკოლაოზი, მღვდელ-მონაზონი ტარსი, ეოთდაეკონი მადლქია, მორჩილი იორდიონ, მორჩილი ივანე“.

მეორე ძვირფასი საფლავი არის ჩვენის მგორსნის თავადის ალექსანდრე ქავჭავაძისა, რომელიც ძალიან მოყვარული და თაე-გამომდებელი იყო სამშობლოსათვის. პოეტი დამარხულია შუა ტაძარში სამხრეთის მხრივ კედელთან, კედლის ძირს ადევს ფიქალი ზედ-წარწერით: ჭმარად საუვიწყო-სა სიმამრისა სამარესა დავზღვე ფიქალი ესე მთავარმა დავით დადიანმა. ფიქალის ასწვრივ კედელში ჩამსულია მარმარილო, რომელზედაც შემდეგი ზედ წარწერა არის: თთავადი ალექსანდრე ქავჭავაძე მიიცვალა 4 წლისა 3 გიორგობისთვეს ჩემვ წელსა მწუხრსა განისვენის ტირილმა და ცისკარსა სიხარულმა“.

პოეტის ალექსანდრე ქავჭავაძის საფლავი ინახულია მეოთხმოცე წლებში აკაკიმ, და საფლავი ზედ დასწერა რა შემდეგი ელქსი:

„შენს წმინდა საფლავს,
გულის მოსაყდევს,
დაეუერებ, გმარო, სულ-განახულია:

შენგან ქებული,
დავაწებული,
დღეს მაგონდებო ჩვენს წასული!

—
თვალ-ტრეშლიანსა,
ტულ-სეჭვანსა
ენს შეუმება ვერის ვარ მთქმელი
და ან ი რა ვსთქვა?
ტულზედ მაწვეს ქვა
შეცა შესსაუთ ტულის დამწველი.

—
და მადლობა დმერთს,
რომ გერგო შენ ერთს
სიტატესდათავე საფსო სრული:
ძალი, დიდება,
ხატეია, ქება
და ქართველთაგან მზა სიყვარული!..

—
მდერადო ტუბილო,
მამულიშეადო,
მადლებული სულით ზეტამდე,
იეგ კურთხეულ,
არ დავაწებულ
მიუერიდგან უკუნისამდე!..
(„ივერია“).

მქსანიშნავი გამენის მონასტერი.
(ღუშეთის მაზრიდან)

კასპიდგამ მარჯვნივ 30 ვერსის მანძილზე სდევს სოფელი ყანავეტი. ამ სოფლიდან სამხრეთით 1 1/2 ვერსის მანძილზე ერთს პატარა ტყით დაფარულ გორაკზე აგებულია ერთი ფრიად შესანიშნავი ძველი დროის მონასტერი, რომელსაც სახელიად კამენის ღვთის-მშობლის მონასტეს უწოდებენ. ამ მონასტერში იმეჟონება ტყავზე ხეცურად ნაწერი სახარება, რომელშიაც მოხსენებულია რატი-

შვილების მიერ ამ მონასტრისათვის აღკლის შეწირვა და აქვე ნათქვამია: „კამენის გეთსამნის ღვთის-მშობლის მონასტერი“. მონასტრის ეკლესია აგებულია მოციქულთა ნათალი ქვით. აღმოსავლეთის კედელი, სანათურები და ჯვარი, რომელიც ჩაყოლებულია კედელში, საუცხოვო ხელოვნური ჩუქურთმებით არის გამოქანდაკებული; ასეთივე ჩუქურთმა არის დასავლეთის კედელზე გამაათამდე.

მონასტრის ეს დიდი და ვრცელი ეკლესია სულ დახატული ყოფილა, მაგრამ დღეს, დროთა ვითარებისა გამო, მხოლოდ რამოდენიმე ნახატი მოჩანს; საკურთხეველში დახატულია სამი მღვდელმთავარი: ვასილი, იოანე ოქროპირი და გრიგოლ ღვთის-მეტყველი და მთავარ ანგელოზი შუბის ხელში მპყრობელი, რომელსაც ექვსი ფრთა აქვს. ტრაპეზი თავის ადგილს დგას, ქვიტკირის კანკელი სრულიად უნებელია და მახედაც მრავალი ჩუქურთმებია. მხატვრობები მოჩანს, მაგრამ წარწერისა და სახის გარჩევა გასაქირია. მხოლოდ მოჩანს წმ. მოწ. გიორგი. ტაძრის გუმბათში დახატულნი არიან მახარობლები და სხვა მოციქულები, რომელთა სახის გარჩევა შეუძლებელია. აქვე დახატულია მიტქმა მაცხოვრისა, მაცხოვარი სარეცელზე მჯდომარე და წმ. მოწ. აბო. მოციქულთა სწორი კონსტანტინე და ელენე და მაცხოვრის სხვა-და-სხვა დროის სახე, მაგალითად, ქრისტე ტანჯვის დროს ეკლის გვირგვინით. სხვა მხატვრობები თუმცა მოჩანან, მაგრამ სახე არ განიჩნევა. თვით ეკლესიაში მრავალი ძველი დროის ჩუქურთმინი ქვები და ძველი დროის კრამიტები და აგურები მოიპოვება დიდი ფორმისა. ამ დიდს ეკლესიას სამხრეთ-ჩრდილოეთით აქვს მიწნებული სამწირველოები, რომლებიც რიყის ქვით არიან ნაშენი. დასავლეთ-სამხრეთის თალი, თითქმის, სულ ჩაქცეულია. როცა ეკლესიაში დგახარ, ჩრდილოეთ-დასავლეთით შენიშნავს ამ აკადამას, რომლებსაც თავი ახლით აქვს. პირველში აწყვია ძელები ბერებისა, მეორეშიც იგივე ძელებია, მხოლოდ ნახევარი ტანი არის კაცისა, რომელსაც ხორცი შემხარი აქვს ძელებზე. მხოლოდ სულ უკანასკნელში ასვენია ერთი თავ მოგლგვილი ტანი აღამიანისა, რომელსაც ხელები დ ფეხები თითქმის თავის თითებით და ფრხილებით აქვს,



მხოლოდ ცალი ხელი მოგლეჯილი აქვს, ასე რომ, თითქმის, სულ ხორციელად არის თვინიერ თავისა, მაგრამ თავიკ იქვე ახლოს ძვეს. საფიქრებელია, რომ ეს თავიკ ამავე ტანისა უნდა იყოს, რომელიც ხორციელად არის დაკული- მხოლოდ არ ვიცით, თუ ვინ არის ეს პატიოსანი გვამი. ბ.ნ თ. ჟორდანის ქრონიკების მეორე ტომში (76 გვ.) მოხსენებულია ზემოხსენებულნი ხორციელი მამები. ბ. ჟორდანია ამბობს, რომ როდესაც თვით მას უმოგზაურნია და უნახავს ეს ადგილი, სადაც მას თან ხლებია ადგილობრივი მღვდელი და აზ. გიორგი რატიშვილი, ამ უკანასკნელს აუხსნია ბ. ჟორდანისთვის ყოველივე. ბ. გიორგი რატიშვილს უთქვამს, რომ როცა პირველად გაუღიათ აკლდამა, შიგ უნახავთ ქილოფში გახვეული გვამი, როცა გაუხსნიათ, უნახავთ, რომ, სადაც ქილოფი არ ფარებია, მარტო ის მხარე ყოფილა განხრწნილი, სხეულს მარტო ერთი ხელი ჰქონებია მოგლეჯილი, გარდა ამისა თითქმის ფერი არ ჰქონებია შეცვლილი ხორცს და მთელი გვამი ისე უვნებლად ყოფილა, თუმცა თავიკ მოშორებულნი ქონებია, მაგრამ იქვე დებულა. ეს გვამი, როგორც მე მიანბნეს, სამღვდლო შესამოსელით შემოსილი ყოფილა და ამ 29 წლის წინად თავიკ ტანზედ ბმია. ამავე აკლდამის ერთ კუთხეში გდებულია ბერული ქუდი (კუნკულა), გარედგან შავ მაუღ გადაკრებული; მასზე დიდის გულს მოდგინებით მოკარგულია სხვა-და-სხვა სახეები (ეს კუნკულა ეხლაც სძევს იქვე, მხოლოდ გაფუჭებულია დროთა ვითარების გამო და არც ეხლანდელს კუნკულას გავს). ამ გვამის შესახებ ბ.ნ თ. ჟორდანის გიორგი რატიშვილისაგან სმენია, რომ ეს გვამი წმ. ბასილის არის და გვარად რატიშვილი ყოფილაო. ამის დასამტკიცებლად მოჰყავს ამავე გვამზე დადებული შენდობის ფურცელი, რადგანაც მღვდელ-მთავრისაგან შეჩვენებული ჰკონებია ალბად, რადგანაც ხორციელად ყოფილა და ისევე მღვდელ-მთავარს მიუცია შენდობა, სადაც წერე-

ბულა „შვილო ბასილ“. ამ შენდობის მიმცემი, როგორც ბოლოში წერებულა, ყოფილა წილანელი იოსები (ამათ შესახებ მეც გამოვიკითხე, მაგრამ ვერა გავიგე რა, მხოლოდ ხალხს დიდი რწმენა აქვს). ბ.ნი ჟორდანია ამბობს, რომ ეს მღვდელ-მთავარი არ შემხვედრია არავითარ გუჯრებშიო. მაგრამ შეიძლება ვიფიქროთ, რომ შენდობას ამღვდელს პირველის წილანელის იოსებ ასურელის მამის სახელითო.

დღეს ასე ფრიალ შესანიშნავი სიწმიდე, რომელიც შიშს და სარწმუნოებას ჰბადებს გონიერი კაცის გულსა და სულში, ფრიალ შეუფერებელ მღვდომარეობაშია. წმიდა ნაწილების აკლდამები საესე არიან ნაგვითა, რაიცა დიდს უჯერობას შეადგენს მართლ-მადიდებელ ეკლესიისათვის. ამ მონასტრის განახლება მოისურვა აწ განსვენებულმა მიხეილ პ. საბინინმა, რომ მისთვის ხელი არ შეეშალა სხვა-და-სხვა გარემოებას. ეს მონასტერი 1896 წელს უფრო კარგ მღვდომარეობაში იყო, ვიდრე დღეს არის. მონასტრის კედლები დაზიანებულია ისე, რომ იმის განახლება მოუხერხებელია. ეკლესია სიგრძით 7 საყენია, განითაც 5 საყ. და 2 არშინია, სიმაღლეც ზომიერია. ეს თვით ეკლესიის ტანი არის და სამხრეთის მხრის სამწირველო და ჩრდილოეთისა კიდევ სხვა. ამ სამწირველოების თალი თითქმის სრულიად ჩაქცეულია. ძველად მონასტერი დახურული ყოფილა ქვით, ხოლო შემდეგ განახლებისა დაუხურავთ უწინდელი დროის კრამიტით, რომელიც ძალიან განირჩევა ეხლანდელი კრამიტისაგან სიდიდით და სიმაგრით. ამავე ეკლესიაში ჩრდილოეთით საკურთხეველზე მიდგმულია პატარა სამწირველოს მსგავსი ოთახი, რომელშიაც მარჯვნივ არის ერთი კაცის ჩასაძრომი აკლდამა, სადაც მრავალი ძვლებია აღამიანთა მოგროვილი. თვით ეკლესიასა სურბედუროდ არავითარი წარწერა არა აქვს, მხოლოდ გარედგან, როდესაც აღმოსავლეთით დადგება კაცი გუმბათისაკენ, მაყურებელი ზედ გუმ-

ბათის თავზე შენიშნავს ერთს ცის ფრად შეღებულს მომცრო ქვას, რომელზედაც წარწერა მოჩანს, მხოლოდ გარევე მოუხერხებელია სიშორის გამო. ეკლესიის გარეშე მოჩანს სენაკების ნანგრევები და სხვა-და-სხვა შენობათა. ამ ეკლესიას წყარო აქვს ჩრდილოეთით 1/4 ვერსის მანძილზე. ვ. ბატონიშვილი იხსენიებს, რომ უწინ მონასტერი ყოფილა, ხოლო აწ ხუცის ამარა არისო. ის არა ჩანს ისტორიის საშუალებით, თუ რამდენი დრო განაგებდა ამ ეკლესიას მღვდელი. მხოლოდ ვ. ბატონიშვილი იყო ქე ვახტანგ მეექვსისა, რომელიც დაიბადა მეთექვსმეტე საუკუნის დასასრულს და გარდაიცვალა 1672 წელსა. აქედან სჩანს, რომ ეს მონასტერი დიდი ხნიდან ყოფილა გაუქმებული. ამ მონასტრის ამშენებელი ჩვენმა ისტორიამ არ უწყის. მხოლოდ საფიქრებელია, რომ მერვე საუკუნეს ან ცოტა შემდეგს უნდა ეკუთვნოდეს. შიგ შუა ალაგას არის ერთი საფლავი, რომელსაც მარმარილოს ქვა აქვს ზედ წარწერით. ჩვენ მხოლოდ მარტო სახელებს ავღნიშნავთ; ფაზია რატიშვილი (ქვს უმდი), ეს ქორონიკონი უდრის 1756 წელსა. აქედან ის გამოდის, რომ რატიშვილის სასაფლაო ეკლესიათა ცოფილა, თუმცა მეტი საფლავი არ არის ამ ეკლესიაში.

ბოლოს, სასურველია, რომ, რადგანაც ეს ეკლესია ფრად დაზიანებულია, შეიძლება დაიქცეს და ეს წმიდა ბასილის ნაწილები შიგ მოჰყვეს, ამიტომ უკეთესია უმჯობეს ალაგას იქმნას გადატანილი, რათა მლოცავთ შეეძლოთ თაყვანის სენა მათი. ამ ეკლესიის გარემოს დღეს მიცვალებულთ ასაფლავებენ. ამ მონასტრის ძველი ხატები და ნივთები ყველა დაკარგული არის. მხოლოდ ადგილობრივი შტატის ეკლესიაში ასვენია ვერცხლის ხატი ღვთის-მშობლისა, რატიშვილების შეწირული 1800 წ. და ძველები ყოველი დაკარგული არის. ყოფილა მრავალი ხუცური ხელნაწერები ტყავებზე, მაგრამ ვის რომელი მოუტაცნია, არ ჩანს. იმ ზემოხსენებულ სახარებაში

მხარობლები არის დახატული და ოთხ-თავია. კიდევ ყოფილა გულვანი, მაგრამ ის მ. მარკოზ ტყემალაძეს წამოუღია მათ ბლალაჩინობის დროს და ჯერაც სახლში აქვს. ეს გულვანი, როგორც მიამბეს, საუცხოვო სურათებით ყოფილა შემკული.

მორჩილი რაქვენ ბარამაძე



შხარგამლო და თან მამნებელი ჩვეულებანი ჩვენში.

ჩვენს კურთხეულ საქართველოში ბევრი კარგი ჩვეულებაა, მაგრამ მათში ბევრი ძლიერ მავნებელი და სამარცხვინოა; ამ მავნებელ ჩვეულებათ გეუთენიან:

მიცვალებულთა დასაფლავებაზე ქელები, რომელსაც მოსდევს ოჯახისათვის ამომკდები და მავნებელი ხარჯები.

ხოციერთი დღესასწაულების გადახდა, რომელთა შედეგი არის არა მარტო უსოპო ხარჯი, არამედ დაჭრა, თავზირის მტრევა, ძველებობა და სხვა ათასი გარეგნილება და ბიწიერება სხეობისა, რომელიც სრულიად ეწინააღმდეგება დღესასწაულების წმიდად და შეუკნებლად გატარებას, როგორც საღვთის-მეტყველო მეცნიერება კვირეებს.

სწავლა-განათლების წინააღმდეგ დაბრკოლება, მგაღლითად ბოლოტ-განზრახვით სყო-



ლის შენობის ცეცხლის წაქედიბა, (რომელიც სმირი მოკლენა სახალხო-საერთო სკოლებში) მშობლებისგან გულ-ცივი დამოკიდებულება სკოლაში მოსიარულე შვილებთან და სხვა..

ბელოვანოვ ვარების ეკლესიაში წირვა-ლოცვაზე წაუსვლელობა. საეკლესიო კანონი იმას გვიჩვენებს, რომ ეკლესიაში სმირად ვიარათ და ჩვენი ვარდაცვალებულების სული შევავედროთ ყოვლად მოწველუ დემონს და ჩვენ ბელოვანოვ ხალხს კი სირცხვილად მიანიხნია ეკლესიაში სიარული.


სოფლის უმეცარი ექიმობა და მკითხაობა, რომლის წვალბობით ძრავალი მდაბიო ხალხი ეთხოვება წუთი-სოფელს, ეცემა ქონებითა, სწეობით და ათას გვარ უსიამოვნება, მტრობა და ცილის წამება არას გავრცელებული ხალხში მკითხავი დება-გაცების წვალბობით, მათხოვრობაც ერთი სადაგული ჩვეულება არის; სოცს შეუძლია იმრომოს და თავის საკუთარი ოფლით სჭაპოს ჰური, მაგრამ რაკი მიეჩვივა თხოვას, ხელობათ ვადა-ექცევა და მუღამ სხვის ჯიბეზე და ქონებაზე უჭირავს თვალი და სხვა და სხვა..

ცხოვრება წინ მიდის მეცნიერება ფართოდება და ამიტომ სადაც ცოტა განთლებამ შენათა საქართველოს სოციერთ კუთხეებში, შემოდ-ჩამოთვლილ ჩვეულებათა მოსზობას კიდევ შეუდგენ და სოცან კი ბაიბურმიდაც არ არიან. ამ მანებელ ჩვეულებათ შეუძლიან მაცხრად შეებრძოლონ ჩვენი ნახწავლი მაძიებ

მასწავლებლების და სოფლის მოხელეების დანძარებით, რადგანაც ისინი უფრო დასალოვებულნი არიან ხალხთან თავიანთ სამწესოში, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, უმეტესი მათგანი ვერ ასრულებს თავიანთ მოვალეობას, რადგანაც უმეტეს მათგანს ჰირადი ინტერესები გაუსდია სატრფიალო საგნათ; არ უნდათ შეებრძოლონ ხალხის მანებელ მიმართულებას. არ უნდათ თავის მრევლში ვისმეს აწეინონ; უნდათ ეველას ასიამოვნონ და მითი დაიმსახურონ ხალხში ჰატივის-ცემა და სიუვარული... სოციერთი დიპლომანები სანამ იმთვიან თბილადვილებს, გვირდებიან ბეგრს რასმეს გავაკეთებთ საზოგადოებაშიო, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, არა თუ გავაკეთებენ რასმეს და გავლენას იქონიებენ მრევლზე, ჰირიქით მრევლის გავლენის ქვეშ ვარდებიან და თავის მიმართულებასე მიეყვანთ მომღვარი.. მაშ რათ გვეჭირებოდეს ნახწავლი მღვდლები, — განა მარტო იმიტომ, რომ საეკლესიო საბუთები აწარმოვონ და მრევლში მღვდელმოქმედება შეასრულონ?! არა, საჭიროა ნახწავლი მანები იმისთვისაც, რომ ხალხში გავარცხლონ სწავლა-განათლება და ამითი მოსზონ სოციერთი მანე ჩვეულებანი. მარტო „დიპლომი“ კი არ კმარა ხალხის საკეთილდღეოთ, საჭიროა „დიპლომთან“ კარგი მომზადება ჰრაქტიკულად და ენერჯია, მტყიცე ხასიათი, უანგარობა და ჰირუთვნელობა. თუძემა ამას ჰირველში მოყვება მრავალი დაბრკოლება და უსიამოვნება, მაგრამ ჭეშმარიტება თავას

კატანს და შედეგი მინც ნაყოფიერი იქნება, თორემ თქვენი ძტერი, მარტო „დიპლომა“ და მიწაში ჩაფლულმა „ტალანტმა“ (ქანქარმა, ნიჭმა) ხალხის ჭირვარამს ვერა უშეკლოსნა *).

ქიათურის საეკ.სამრ. სკოლის მასწ. ბესარიონ ვაშაყ.



შსრნალ-გაზეთებიდან

„ს.-პეტერბ. ვედომოსტ.“-ს ტფილისიდან სწერენ: „მომავალ წელს შესრულდება ასი წელიწადი მას შემდეგ, რაც საქართველო შეუერთდა რუსეთს. ამ იუბილეს დღესასწაულის მზადებას ტფილისელები უკვე შეუდგნენ და იხილავენ სხვა-და-სხვა წინადადებებს, რომელთა განხორციელებითაც უნდა აღინიშნოს დიდ-მნიშვნელოვანი დღე. ამ ჟამად აქაურმა მმართველობამ და ადგილობრივმა პერიოდულმა გამოცემებმაც შეუკვეთეს ქართველ ისტორიკოსებს საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიის დაწერა. ამიტომაც საქირა გაფისხენოთ ის მდიდარი საისტორიო მასალა და საბუთები,

* თუმცა მრავალ გზის გამოგვიტყვამს ის რჩევა-დარიგებანი, რომელთაც ამ სტატიის ავტორი მოგვითხრობს, მაგრამ ამ წერილს მინც ვაძლევთ ადგილს ჩვენს ჟურნალში, რადგან ამისთანა საგანზედ რამდენიც უნდა ითქვას, მეტი არ იქნება. მაგრამ ავტორს ვერ ვეთანხმებით იმაში, რომ ჩვენში კემპარიტს სწავლა-მეცნიერებას უკვე შემოგშუქებინოს და ნამდვილი და გულ-შემატკივარნი ნასწავლნი უკვე გამრავლებულიყოს. ამისთანა პირთ ჩვენ იშვიათად ვხვდებით ხოლმე საზოგადოებაში.

რედაქტორი

რომელნიც ინახებიან საქართველოს სხვა-და-სხვა ეკლესიებში და რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ საქართველოს ისტორიისათვის. ეს ძვირფასი მასალები და საბუთები ჯერაც არ არიან ცნობაში მოყვანილნი და აღწერილნი, მაგრამ სხვა-და-სხვა პირთ ეს მასალები და საბუთები დაუკითხავად მი-აქვთ არხივებიდან. საქართველოს ისტორიისათვის უძვირფასესი მასალები და ხელთაწერები ინახებიან აგრეთვე სომეხთა ეწმიძინის მონასტერში, მაგრამ იმის არხივიდან უკანასკნელ ორ-სამ წელიწადში ბევრი ხელთ-ნაწერი დიკარგა. ეს დანაკლისი აღ-მოჩნდა მხოლოდ მაშინ, როდესაც ეწმიძინის მონასტერში საისტორიო მასალის ცნობაში მოყვანა მიენდა ერთს ცნობილ ქართველ ისტორიკოსს. ამ გვარ სამწუხარო გარემოებათა ასაცილებლად საქირა ეხლაე მიღებულ იქნას ზომები, სახელდობრ, კარგი იქნება აღსანიშნულად მომავლის იუბილესა შეიკრიბოს ყველა ეს მასალები და საბუთები ერთ მუზეუმში. საქართველოს ისტორიისათვის საქირა მასალებისა და საბუთების შეგროვება ღირსეული აღნიშვნა იქნება დიდ-მნიშვნელოვანის იუბილესა.

ს.—პეტერბურგის ვედომოსტებშივე ვკითხულობთ: «არა ერთხელ გვინახავს რუსეთიდან ამიერკავკასიაში მიმავალი პარტიები გადასახლების მსურველ გლეხთა. ამ პარტიების ბედი ხანდის-ხან ძალიან მწუხარე ყოფილა: გადასახლებულნი გლეხნი ან ციებ-ციხელებას გაუწყვეტია, ან ადგილ-მამულის სიფიწროვეს უკანვე გაუგდია სამშობლოში. ჩვენ ბევრჯელ გავგიგონია, რომ ამიერკავკასიაში ადგილ-მამულის სიფიწროვეა; ხოლო ერთმა ფაქტმა სრულიად დგავარწმუნა ამაში: მ ივნისს, ვლადიკავკაის რკინის გზის სადგურზე მიწაზე ისხდა მთელი გროვა გადასახლებულ გლეხთა. მათი შავგვრემანი პირისახე და ეროვნული ტანსამოსი უნებლიეთ იქცევედა დამსწრეთა ყურადღებას. ესენი იყვნენ ქართველი გლეხები, რომელნიც სამშობლოდან გარბოდნენ ჩრდილოეთისაკენ ახალის სამშობლოს მოსაპოვებ-

ლად. გლეხები ამბობდნენ, რომ მათ ქვეყანაში მეტის-მეტე ვიწროობას; თუ ვისმე გააჩნია რამდენიმე ქცევა ადგილი, ისიც იმდენიდ დაიღალა, რომ მოსავლს აღარ იძლეოდა; დამშუღლი და მეტად შევიწროებულნი, იძულებული ვაგებდით თავი და გვევინებებინა სამშობლოსათვისო. საკმარისი იყო შეგვხედნათ ამ უბედურებისათვის და მაშინვე დარწმუნდებოდით, რომ ისინი მართალს ამბობდნენ.. რამდენიმე დღის შემდეგ ამ პარტიას მოჰყვა მეორე პარტია და კიდევ მოვიღიან მესამეს. სულ ჩრდილოეთისაკენ წავიდა ამ ეპიოდ 400-მდე ქართველი. მომავალ წელს მათ მთავალითით გადასახლება კიდევ 50 ოჯახი. ამ რიგად ხალხი, რომელიც განთქმულია თავის სიყვარულით სამშობლოსადმი და რომელსაც არ უღალატინა თავის მიწა-წყალისთვის, რაც უნდა გაქიერება დასდგომოდა, ეხლა, მშვიდობიანობის დროს, იძულებული ვამხდარა დასტოვოს მამა-პაპის სისხლით შორწყული ადგილები და ეძიოს ახალი სამშობლო (ესეც ბედისაგან დაცინვაა!) ჩრდილოეთ კავკ სიის მამადიანთა შორის! ყოველივე გაქირვებას დაჟმატეთ ისიც, რომ გადასახლებულეებმა არ იციან ქართულ ენის გარდა, არც ერთი სხვა ენა და თქვენ დარწმუნდებით, რა უბედურებაში არიან ჩაცვივნულნი ახალი სამშობლოს მამებელნი!.. რადგანაც ქართველ გლეხთა მოძრაობა ჩრდილოეთისაკენ გაძლიერდება, კავკავში განუზრახავთ დაარსონ დამხმარებელი კომიტეტი ქართველ გადასახლებულთათვის, იმეარივე, როგორც არსებობს ტფილისში რუსებისთვის).

ჩინურმა ვაზეთებმა გამოაქვეყნეს ჩინეთის დედოფლის ორი ბრძანება, რომელნიც ლიხუნგჩანგს მოსვლია. ორივე ეს ბრძანება ეხება „მოკრიეთა“ მოძრაობას, უცხოელეების ჩინეთის ბრძოლას და იმ მდგომარეობას, რომელშიაც ჩაყენებულია ჩინეთის მმართველობა. ამ ბრძანებებში არის ნათქვამი, რომ შერიგება ქრისტიანებთან, რომელთა წინააღმდეგ მთელი ჩინეთის ერი ერთად ჯართან, მეცნიერებას-

თან, თავდაზნაურობასთან და ბატონიშვილებთან, ყოვლად შეუძლებელიაო. უცხოელეებმა ტაკუს ადებით თვითონვე დაიწყეს მტრული მოქმედება, რის გამო ევროპიელისადმი მძულვარებამ კიდევ უფრო იმატა. ამ გვარი ეროვნული მოძრაობის დაცხრობა საშიში საქმეა, ამიტომ მიზნის შესაფერისად მიჩნეულია ჯერ-ჯერობით ამ მოძრაობით სარგებლობა. დედოფალი პირდება, რომ იგი დაიცავს პეკინში მყოფ საელჩოებს. ვინ უფრო ძლიერია, ჩინეთი თუ ევროპა, ამას მომავალი გამოაჩენს. ყოველ შემთხვევაში, ყველა გუბერნატორებმა დაუყონებლივ ჯარებს უნდა მოუყარონ თავი, რათა დაიცვან თავიანთი ოლქები ადგილობრივი პირობების თანახმად და იმოქმედონ თავიანთ მოსაზრების მიხედვით. ტერიტორიის ყოველი დეპარტამენტის პასუხის მტებელი გუბერნატორები იქმნებიან.

როგორც ვუწყით, ჩინეთი მჭიდროდ დასახლებული სახელმწიფოა: ამ სახელმწიფოში ბევრი დიდი ქალაქია. დიდ ქალექებ შორის უფრო შესანიშნავია:

პეკინი	1,600,000	მცხოვრები
კანტონი	2,500,000	„
სიანგტონი	1,000,000	„
სინგკი	1,000,000	„
ტიანძინი	1,000,000	„
ხინკოუ	700,000	„
ფუტჩოუ	600,000	„
შანხაი	460,000	მცხ. და სხვ.



ახალი აშუები და შენიშვნები.

ქუთაისის სასულიერო სემინარიაში წრეთულს სწავლა დაამთავრა 29 კაცმა; მათ შორის სამი რუსია, დანარჩენი ქართველები: აი მათი სახელი და გვარი: ვესევი ლოსაბერიძე, სამსონ ლევაგა, კონსტანტინე ტყეშელაშვილი, ნაუმი რამიშვილი, რაჟდენ თოდუა, კირილე ნინიძე, ანტონ ფირცხალავა, ანდრია პორუბინი, ელფეთერი ღვალაძე, ყარამან რამიშვილი, ივანე ვიახირევი, ივანე რუსაძე, ვასილი აკიმოვი, იპპოლიტე უკლება, კაპიტან სარალიძე, ივლიან ჩლაიძე, პლატონ ცქიტიშვილი, ბესარიონ გაფინდაშვილი, მიხეილ ჩიკინიძე, ზაქარია ცინცაძე, მიხეილ ჯაფარიძე, ივანე მეტრეველი, მიხეილ მაჩიტაძე, ქრისტეფორე კაქეხაძე, ტარასი ძიგრაშვილი, კონსტანტინე ჯაკობია, ილია ჯინჭელაშვილი, ბიქტორ ენუქიძე და ევიფანე სხირტლაძე. სემინარიის მთავრობას აკადემიაში არც ერთი არ გაუგზავნია, მხოლოდ თავის სურვილითა და ხარჯით აპრობს წასვლას რაჟდენ თოდუა. უნივერსიტეტში წასვლას აპირებენ: ლოსაბერიძე ვესევი, ლევაგა სამსონ, ტყეშელაშვილი კონსტანტინე, რამიშვილი ნაუმი, ნინიძე კირილე და რამიშვილი ყარამან.

* *

საერო განათლების სამინისტრომ ცირკულიარით აცნობა სამოსწავლო ოლქის უფროსებს, რომ დედათა გიმნაზიებსა და პროკიმნაზიებში, სასულიერო აკადემიაში სწავლა-დამთავრებულნი მასწავლებლებად მხოლოდ მაშინ შეიძლება დანიშნულ იქმნენ, როდესაც არ აღმოჩნდებიან ისეთნი, რომელნიც თავიანთის სასწავლო ცენტით აკმაყოფილებენ დასახელებულ გიმნაზიების წესდებებს. ამასთან აკადემიაში სწავლა-დამთავრებულნი იმ საგნების მასწავლებლად შეიძლება დანიშნულ იქმნენ, რომლებიც აკადემიაში შეესწავლიათ.

* *

საერო განათლების სამინისტრომ საკუროლ სკოლა შეიდ-კლასიან დედათა გიმნაზიების აღგებრის კურსიდან გამოაკლოს ის ადგილები, სადაც პროგრესებსა, კუბიკურ ფესვებსა და ლაგორითმებზედაა ლაბარაკი. ეს ადგილები მე-8 კლასში მხოლოდ იმ ქალებმა უნდა შესწავლონ, რომელნიც მათემტიკას ირჩევენ მთავარ საგნად. ეს განკარგულება სამინისტრომ ყველა სამოსწავლო ოლქის მზრუნველს აცნობა.

* *

„ივერიას“ შეუტყვია, რომ ბან ლევიცკის სახელმძღვანელო რუსულის ენისა, ესრედ წოდებული „Курсъ русскаго языка“ საერო განათლების სამინისტროს უფარგის წიგნად უცენია და ამოუშლია იმ სიდიან, რომელშიაც ამ სამინისტროს სკოლებში სახმარებლად ნება-დართული და მოწონებული სახელმძღვანელონია მოქცეულნი.

ამის შემდეგ ქუთაისში იბეჭდება ეს სახელმძღვანელო 16 ათასი ცალი!.

* *

ტფილისის სასულიერო სემინარიის ის მოსწავლენი, რომელნიც საზაფხულოდ არ წასულან თავიანთ მშობლებთანათესავეებთან და დარჩენილან ტფილისში, სემინარიის მმართველობას გაუგზავნია ახტალის მონასტერში (ბორჩ. მაზრა), სადაც მოსწავლენი გაატარებენ მთელ ზაფხულს და ადვილობრივ ბერებთან ერთად იმუშავენ მონასტრის ბაღში და ვენახში.

* *

ტფილისის რეალურ სასწავლებელში წელს სწავლა დაუსრულებია სულ 29 მოსწავლეს, რომელთაგან 14 რუსია, 8 სომეხი, 3 პოლონელი, 2 ნემეცი და 2 ქართველი; იოსებ კოტაძე და ბესარიონ ჯუკუასელიძე.

* *

წელს პოლტავის სასულიერო სემინარიაში სწავლა დაუმთავრებია ერთს ქართველს ბ. ნახუკრიშვილს.

* *

ამას წინადა უწმ. სინოდს დაუმტკიცებია ახალი პროგრამები ქართული სასულიერო სასწავლებლებისათვის და გამოუგზავნია ეს პროგრამები ადგილობრივ სასულიერო მთავრობისათვის სისრულეში მოსაყვანად. ადგილობრივ მთავრობას უკვე დაუბეჭდია პროგრამები, და ეხლა ყველას შეუძლიან შეიძინოს თვით სასულიერო საწავლებლებში. სხვათა შორის საყურადღებოა ის, რომ „დედა-ენა“ და „ბუნების კარი“, რომელნიც აქამომდე მხოლოდ ნება-დართულნი იყვნენ სახმარებლად ადგილობრივ მთავრობის მიერ, ახლა უწმ. სინოდს მოუწონებია და პროგრამებში შეუტანია, როგორც საავტორული სახელმძღვანელონი. „დედა-ენა“ ამ პროგრამების ძალით უნდა გაათავონ მთლად გამოუტკეპნივ პირველსა და მეორე მოსამზადებელ განყოფილებაში; „ბუნების კარი“ უნდა ინმარებოდეს მესამე განყოფილებაში.

თავი შესწიროს და მიცვალებულთან მარტო დარჩენა კი, თუ გინდა ეს მიცვალებული მისი მშობელი ან მისი ძვირფასი მეგობარი იყოს, არ შეუძლია. ბნელაში მცირე რამ გახმაურების დროს ძაგძაგებს; თავისი საკუთარი ჩრდილისაც კი ეშინია და ვარბის. თვით ქრისტეს მიოკუქლებიც კი შეშინდნენ როცა ქრისტე იხადეს ზღვაზე მოსიარულე, სახარება მოგვითხრობს, რომ როცა ქრისტემ ხუთი პურით 5000 კაცი სასწავლებრივ განაძღო. მან უბრძანა თავის მოწაფეებს, რომ იგინი ნავით წასულიყვნენ გენისარეთის ზღვის მეორე ნაპირზე, სანამ ის ხალხს გაუშვებდა. იესო ავიდა მთაზე სალოცავად და იქ ღამის გასათევად. ამ დროს ნავი, რომელშიაც ქრისტეს მოწაფენი ისხდნენ, ტბის შუა ადგილს იყო და წყლის ზვირთები აქანებდნენ აქეთ-იქით. ნაშუადამეც მაცხოვარი უკან გამოუდგა მოწაფეთ. როცა მოწაფეებმა იხილეს იგი ზღვაზე ფეხით მოსიარულე, შეშინდნენ და სთქვეს: „ეს მოჩვენებაა“, და შიშისაგან დაიყვირეს. უფალმა რქვა მათ: «გამხნეველით, ეს მე ვარ, ნუ გეშინიანთ». მაგრამ ამის შემდეგაც კი ვერ დამშვიდნენ მოწაფენი მთლად, თავის მცირე სარწმუნოებისა გამო, ასე რომ, როცა მოციქული პეტრე წყალზე წავიდა ქრისტეს შესაგებებლად და წყალში იწყო ჩავარდნა, უფალმა მოჰკიდა მას ხელი და რქვა: «მცირე მორწმუნე! რად შეშინდი?» იგივე მცირედ მორწმუნება არის ხოლმე მიზეზი, რომ ჩვენ გვეშინიან სიხმარში მოჩვენებულები რამეებისა, ვინაიდან მცირედ გვრწამს განგებულება ღვთისა, რომელიც მუდამ ზრუნავს ჩვენზე, ეინაიდან მცირედ გვრწამს, რომ ღმერთი ყველგან მყოფია. „ვინც შეიქნა მონა უფლისა, მას შეეშინდება მხოლოდ თავისი მეუფისა, ამბობს ღმერთი იოანე მესვეტე; ხოლო ვისაც ვერ არ ეშინია მისი, ე. ი. ღვთისა, მას ხშირად შიშის თავზარსა სცემს თვისი ჩრდილიც კი. კაცის შიში არის შედეგი მისი მცირედ მორწმუნებისა“. ხანდისხან ტყუილი შიში არის შედეგი იმისა, რომ ჩვენ სინდისი წმინდა არა გვაქვს. კაცის მკვლელთ ხშირად



სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობაში საწმენკებისა და ვითობის ხედავზე.

რატომ გვეშინია სიხმარში ნანახ სხვა-ღ-სხვა მოჩვენებთა?

სწორედ გასაოცარი არსებაა კაცი. რაც ნამდვილია და ზოგჯერ ფრიალ საშოში, იმის კი არ ეშინია და სიხმარში ნანახი რამეები კი თავზარსა ცემს მას; შემთხვევის დროს კაცი მზად არის

ელანდებთ და გჩვენებთ მათი მსხვერპლნი, და აღარ იციან, სად და როგორ დაემალონ მათ; ამ გვარად მათზე სრულდება. სიტყვა საღმრთო წერილისა: *გარას უსჯულო, როგა მას არავინ არ მისდევს.* ამიტომ, საყვარელო ძმანო ჩემო, თუმცა გსურსთ თავს აიცილოთ ტყუილი შიში, ეცადენით მოსპოთ თქვენში ყოველივე ის, რაც ჰბადებს ჩვენში ამ შიშს. ნებას ნუ მისცემთ თქვენს გულის თქმათ და ყოველივე გახინჯეთ თქვენის გონებით; თორემ ხეც საშიშო სანახავი იქნება თქვენთვის ღამით და მთვარის ჩრდილიც კი, მდგომარე ეკლესიის კედელზე, წარმოგიდგენს თვით სულარში გამოხვეულ მიცვალებულს. აღიქურვეთ სარწმუნოებით და სასოებდეთ, ღაარწმუნეთ თქვენი გული, რომ ღმერთი მუდამ ემსხრუნავს თქვენზე. მორწმუნეს და ღმერთზე მსასოებელს არ ეშინიან არა თუ მოჩვენებათა, არამედ ნამდვილი საშიშარი სანახავებისაც კი, რომელნიც მას ხშირად თვალ წინ წამოუდგება ხოლმე სიკვდილის წინ. ამ მოჩვენებათა წინააღმდეგი იარლი მორწმუნე კაცისათვის არის ჯვარის გამოსახვა. ამავ დროს მოვრდიეთ ყოველივეს, რასაც შეუძლია შებღალოს თქვენი სინდისი, რასაც შეუძლია მოგაკლოსთ მყუდროება, შეარყოს თქვენი ძარღვები და ისეთ მდგომარეობაში ჩაგავდოსთ თქვენ, რომ იქაც კი შიშს ხედიდეთ, სადაც სრულებით არ არის შიში.

სამწუხაროდ, ასეთი ტყუილი შიში ისე გავრცელებულია, რომ მრავალნი შეპყრობილნი არიან მსგავსი შიშით და მასთან სხვებშიაც ბადებენ ასეთ შიშს. ამ შემთხვევაში განსაკუთრებით ცუდად იქცევიან დედები და გამღლები, რომელთაც ჩვეულება აქვსთ შეაშინონ პატარა ბავშვები, რომ ამით დააჩუქონ ისინი. აქ უმთავრესად ის არის ცუდი, რომ ბავშვში ჩვენ ვასუსტებთ სარწმუნოებას, რომ ღმერთი ყველგან მყოფია, რომ იგი ზრუნავს ჩვენზე და სხ. ჩვენ ამით ნაცვლად მისა, რომ ბავშვში ავღძრათ მტკიცე სარწმუნოება, მათში ვსპობთ ამ სარწმუნოებას და მათში ვასუსტებთ სიყვარულს

ღვთისადმი. ყოველივე ესეები უნდა მოვსპოთ, თუ ჩვენი შვილებისათვის კეთილი გვსურს. შიში კი არ უნდა დაენერგოთ ჩვენი პატარა შვილების გულში, არამედ უშიშროება და სიმაჰაცე, რომ ისინი შეიქნენ ნამდვილი ხალხი; სხვა-და-სხვა მოჩვენებათა შიში კი არ უნდა დაენერგოთ ჩვენი ბავშვების ნორჩ გულსა და გონებაში, არამედ შიში ღვთისა. უნდა ვეცადოთ, რომ ბავშვები არ ხედავდნენ ბნელაში თავის წინ რაღაც საშიშროებას, არამედ მუდამ ხედავდნენ თავის წინაშე უფალსა და მხოლოდ მას შესტკეროდნენ, როგორც ყოველი განსაცდელისა და გაქირავებისაგან მხსნელს. თუ ღმერთი ჩვენთან იქნება, ჩვენ არ შეგვეშინდება არა თუ ღამის სიბნელისა, თვით ჯოჯოხეთიც საშიშო არ იქნება ჩვენთვის. „ვიღოდილა თუ შორის აჩრდილთა სიკვდილისათა, არა შემეშინოს მე ბოროტისაგან, რამეთუ შენ ჩემთანა ხარ. უფალო“, ასე ვეცდებოდა ერთხელ წმ. მეფე და წინასწარმეტყველი დავითი (ფსალ. XXII, 3). ასე დაიმედებულნი უნდა ვიყუთოთ ღმერთზე ჩვენც და ბავშვებშიაც ასეთივე გრძობა უნდა განვამტკიცოთ. ან რას ჰკავს ეს? ჩვენ ქრისტიანები ვზრდით ყმაწვილებს, როგორც კერპთაყვანის-მცემელნი? სწორეთ კერპთაყვანის მცემელთ შეშვენის შიში სხვა-და-სხვა ტყის და წყლის ქინკებისა და ეშმაკებისა. კიდევ რომ არსებობდნენ სხვა-და-სხვა ქინკები, წყლის ქალები და ქაჯები, ქრისტიანე კაცს ისინი ვერ აწებებენ, კიდევ რომ ეს ბოროტი სული გამოგვეცხადოს სხვა-და-სხვა ქინკების და ქაჯების სახით. ყველა ამ ბოროტ სულთაგან ჩვენ დაფარულნი ვართ ჯვრის ძალით და წმ. მფარველ ანგელოსთაგან. ნუ თუ თქვენ არა გრწამთ სასწაულებრივი ძალა ჯვარისა და ანგელოზთა მფარველობა? თუ ეს ასეა, მაშ რაღა საბუთით ეძახით თქვენს თავს მორწმუნეთ. ხედავთ თუ არა, მეგობარნო ჩემო, თუ საით მივყავართ ჩვენ ამ განუსჯულობას? ნაცვლად მისა, რომ ვეცადოთ, რათა ბავშვმა არ იტირონ, ატირებულ ბავშვს ვაშინებთ სხვა-და-სხვა ქაჯების და ქინკების სახე-

ლებით. ამასთან თქვენ უნდა იცოდეთ, რომ პატარაობაშივე შეშინებულნი ბავშვები მულამ, თითქმის სიკვდილამდე, რჩებიან მოშიშარნი და ცრუ მორწმუნენი. ასე პატარაობაშივე დაშინებულნი ბავშვები, დიდობის დროს ხშირად ცდილობენ, რომ გული-დამ ამოიღონ ეს შიში და დარწმუნებულნიც არიან, რომ არავითარი ქაჯი და ჭინკა არ არის ქვეყანაზე, მაგრამ მაინც ეშინიათ.

ასე, საყვარელნო ძმანო, ჩვენ გულშეაყვამოვფხვრათ სხვა-და-სხვა მოჩვენებათა შიში და ვეცადოთ ჩვენი ბავშვებიც ისე აღზარდოთ, რომ სხვა-და-სხვა მოჩვენებათა შიში აღარ ჰქონდეთ გულსა და გონებაში. როცა რაიმე შიში დაიბადოს ჩვენში, ჩვენს თავს გრქვით მაცხოვრის სიტყვები: მცირედ მოწმუნევე, რატომ შეშინდა? და: უფალო, მისხენ შე.

შეწირულებანი.

I.

მ. რ! უმოწილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ, რომ თქვენის პატრიარქული გაზეთის „მწყემსი“-ს საშუალებით უდრემსი მადლობა გამოუცხადო იმ პირთ, რომელთაც ჩემდამო რწმუნებული მერხელის წმიდი გიორგის ეკლესიის განსაახლებლად შემოწირეს ფულები და ნივთები. აი სია შემომწირველთა: დეკანოზმა მ. დავით მაჭავარიანმა — 10 მ., გუმ. ურ. უფროსმა სიმონ ს. იაკოვჩუკმა გარდა დიდა დახმარებისა 10 მ., მღვდელმა მ. ბესარიონ ხეღიაშვილმა 10 მ., ბლადიჩინმა მღვდელმა მ. დავით ხუციკვაძემ 15 მანეთად დირებული ნივთები, აზ. დეკა ბ. თოფურაძემ 10 მ., აზ. ოტია ხანიძრავამ 5 მ., აზ. ადექსი თურქიამ 5 მ., ფილიპე ერქომაიშვილმა ხალიჩა, დირებული 2., განსვენებულმა ივანე

მღვდლის მიქელის ძე ჯანაშიამ თავის გარდაცვალების დროს ტრანკვილზე გადასაფრებელი შალი, დირებული 8 მ., ილია პაპანდოლომა ლამპატკა, დირებული 2 მ., და სრულიად 77 მ.

მდ. სამონ ჯაშა.

II.

მ. რ! უმოწილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ, რომ თქვენი ქურნალი „მწყემსი“-ს საშუალებით მადლობა გამოუცხადო როგორც მე, ისე მთელმა ჩემმა მრევლმა ქვემოთ მოხსენებულ პირთ, რომელთაც შემოსწირეს სოფ. ხარაგაულის ზედმიწერილის მაცხოვრის ეკლესიას ქვემოთ მოხსენებული ნივთები: აზ. ვასილ კ. წერეთელმა ერთი რწყვილი კარგი ბირადები თავისი ჯიბებით, დირებული თათხეტ მანეთად, პორფელე ა. არჯვანიძემ ერთი კარგი ქება იმბიონზე და ტრანკვილის წინ დასაფარებლად და მეორე კარგი ნახი, დირებული ორივე ერთად თოხმეტ მანეთად.

მდ. კირილე ჭანაშვილი,

III.

მ. რ! უმოწილესად გთხოვთ თქვენი პატრიარქული „მწყემსის“ საშუალებით უკუვითადესი მადლობა გამოუცხადოთ ჩემს და ჩემს მრევლს მხრით. დეკანოზ ბლადიჩინს სიმონ ქავთარაძეს, რომელმაც შემოსწირა რწმუნებულ ჩემდამო საარჩაო მაცხოვრის ეკლესიას ერთი ფილანი ორნარიტურთ, დირებული თორმეტი მანეთისა, სოფ. ჭალადიდის მცხოვრებს დესპინე მღვდლის რომანოზ დვამიჩავას მეუღლას (მდ. დავით არჩაიას ასულს), რომელმაც შემოსენებული საარჩაო ეკლესიას ბარძიმი, ფეხსეში თავის მოწყობილებითურთ ახალი ვერცხლისა მოოქრული, დირებული ორმოცდაორ მანე-



თად, და ქ. ქუთაისის მცხოვრებს ესლამ გ. ხრ-
ჩაის, რომელმაც შემოსწირა გარდამოხსნა ტი-
ლოზედ დახატული სარკისა, დირებუელი თოთ-
ბმუტ მანეთად.

რანარიათ მაც. კე. შტ. მდ. კ. ვაჭარავა

IV.

მ. რ! უმოჩინლესად გთხოვთ ნება მოგვ-
ცთ, რომ თქენი პატრიცეშუელი ქურნალი
„მწეყმაი“-ს საშუალებით მადლობა გამოუცხადო
როგორც მე, ისე ჩემმა მრევლმა რწმუნებულს
ჩემდამო სოფ. გუდგორის წმიდი გიორგის ეკ-
კლესიის შემომწირველთა: დათიკო, ზალიკა შა-
ვარდენას ძე გვაძაბიებს, რომელთაც შემოსწი-
რეს დიდი ტანის გარდამოხსნა* თავისი რამკით,
დირებუელი 32 მანეთად. ამავე ეკკლესიის სტა-
როსტამ, მაქსიმე ი. გეგელიძემ ტრანპეზზე ზევით
საფენი პატარა ტანის გარდამოხსნა, დირებუელი
23 მანეთად.

მდ. ანტონ ცინცაძე.

V.

მ. რ! უმოჩინლესად გთხოვთ ნება გვი-
ბოძოთ, რომ თქვენი ქურნალი „მწეყმაი“-ს სა-
შუალებით მადლობა გამოუცხადოთ როგორც
მე, ისე ჩემმა მრევლმა ქვემოად აღნიშნულ პირთ,
რომელთაც შემოსწირეს სოფ. ხონის წმიდი
გიორგის ეკკლესიას შემდეგ ნივთები: აზ. ვახ-
ტანგ ქ. დოლაძემ ერთი პატარა თანაქის ხამ-
ლი, დირებუელი 4 მ., გიორგი 3. მჭედლიძემ
თანაარსი ბრონზისა, დირებუელი 6 მან., მალა-
ქია ეგ. ვაპიძემ საზედაბო ბოჩკას, დირებუელი 3
მან., შანტლელიძემ დ. ჭონიბვილიმა წმიდა გი-
ორგის ხატი, დირებუელი 4 მანეთად, გიორგი
გ. ჩუბინიძემ დვთის-მშობლის ხატი, დირებუელი
3 მანეთად.

ს. სონას წმ. გიორ. მდ. დ. კვაჭინაძე

განცხადებანი

კალენდარი „ლურჯი ჯვრის“

ღარბთა და ავადმყოფ ბავშთა ზედა მხრუნვე-
ლი საზოგადოებისა,

რომელიც იმყოფება უფავუსტოესი მფარველობის
ქვეშე მისი იმპერატორანითი შამალფსოზის
დიდი მთავრინა ელისაბად მავრიკივისა.

სტოლზედ სახმარე, შესატყობი და აღჩესების წიგნი

რუსეთის იმპერიისა

რუქებით, გეგმებით, ზორტრეტებით და
ნახატებით

გამოვა 1 ნომბრადამ 1900 წლისა 20,000 ცალა.

ფასი ყლით 1 მ. 50 კ. (გაზავნით 2 მანეთი.

შენიშვნა. „ლურჯი ჯვრის“ კალენდარში გან-
ცხადებანი მიიღებან: რედაქციაში „ლურჯი ჯვ-
რის“ ლარბი და ავადმყოფ ბავშთა ზედა მხრუნ-
ველი საზოგადოებისა, რომელიც იმყოფება უფ-
ავუსტოესი მფარველობის ქვეშე მისი იმპერატო-
რებით უმაღლესობის დიდი მთავრინა ელისაბედ
მავრიკივისა, პეტერბურგში, სერგიევის ქუჩა,
№ 14, და უფლებსი მქონე ზარდავან, რომელთაც ამის
შესახებ ექნებათ რწმუნება „ლურჯის ჯვრის“ კალენდ-
რის გამოცემის უ. გამგას ზედმოწერილი და რედაქ-
ციის ბეჭედ დასმული.

მიიღება ხელის-მოწერა 1900 წლისათვის ორ
მეორეულ გამოცემათა შარტულს

„გვუმის“ - ზი

ღ

რუსულ «П А С Т Ы Р Ь»-ზე

ქუჩის ფასი:

12 თეთი «მწყემსი» 3 მ. | 6 თეთი «მწყემსი» 2 მ.
— ,, რუსული ,, 3 მ. | — ,, რუსული ,, 2 მ.
— ,, ორივე გამოცემა 5 მ. | — ,, ორივე გამოცემა 3 მ.

ზანთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც
ვერიდაში, აგრეთვე ქუთაისშიაც. თბილისში
წყრა-კთხვის გამაგრებელ საზოგადოების წიგნის
მალაზიაში, ბ. შიო ქუჭუკაშვილთან. ფოთში—დეკა-
ნოზ მ. გრიგოლ მაჭაროვთან; სანჯურში—ყარასან
მევიძესთან; ახალციხეში—დეკანოზ დ. ხახუტოვთან;
ახალსენაგში—ბლაღოჩინ მახა არისტარქ კალანდარი-
შვილთან.

სოფლის მასწავლებელთა და ღარიბთა ჯანებები დაეთმო-
ბათ მთელის წლით ორივე გამოცემა სამ მ ა ნ კ ა დ.

რედაქციას აქვს კანტორები: ქუთაისში ხანანაშვილე-
ბის სახლებში და ვერიდაში რედაქტორის საკუთარ
სახლებში.

ზარეშე მცხოვრებთ ქუჩის ფასის დაზარება შეუძლიათ
ამ აღრესით: В Квирилы, в редакцию газеты и
журнала „МЦКЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

რედაქციაში მოიპოვება წარსული წლების რამ-
დენიმე სრული გამოცემანი „მწყემსი“-სა, რომელ-
ნიც ნახევარ ფასად დაეთმობათ მსურველთ.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. ფ. ლაბაშიძე.

Дозволено цензурою, Тифлисе, 13 июля 1900 г. ♦ Цензоръ прот. Е. Елисе

Типог. редакцій журн. „Пастырь“ (П. Д. Гамбашидзе) в Кутаисѣ, вь д. А. Дейсидзе на Нѣмецкой ул.

ქმედო საავითგორო ავბულატორიითურთ ს. გ. თოფურინს.

ქ. ქუთაისში.

საავითგოროში დგას ო რ მ ო ც ი საწოლი.
ხირურგიულ, გინეკოლოგიურ და შინაგან სენით
ავითგოფათვის. მუწუკებანი და გადამდები სენია
ავითგოფენი არ მიიღებან. მოსიარულე ავითგოფ-
ენი მიიღებან ყოველ დღე 11 საათიდან შუადღის მ
საათამდე.

შინაგან და ნერვებით ავითგოფებს მიიღებს
მ. ს. გ. თოფურინი.

ქირურგიურ შარდით სიფილისით და თვალებს
ავითგოფობისათვის.

მ. ფ. კ. ბერაბაძი.

დღღაჯაცურ ავითგოფათა და საბებიო ქალი.

მ. მ. ფ. კობანი.

ჩჩევა დარტიგების ფასი 50 კ., კონსი-
ლიუშის ფასი 3 მ. დღე და ღამე ქირა სა-
ავითგოფოში სრული ხარჯით და ექიმობით
2—3 მანეთამდე. ანჯრაციის ფასი გარტიგებაზე.

სამკურნალოს დირექტორი ს. გ. თოფურინი.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

სალიტარატურო განმეოფილვა: რედაქტორისაგან.

— ზოგიერთი საკირო ვაფრთხილება მოსწავლეთა მშობელთა-
თვის. — იმერეთის ეპარქიის სამღვდელ. დეპუტ. კრება ქ. ქუ-
თაისში დეკემბრის 15, 16, 17, 18 და 19 რიცხ. 1899 წ. —
მცხეთის საკრებულო ტაძრის განახლება ამ მიმდინარე საე-
კუნეში. — შუა შთა. — შესანიშნავი კამენის მონასტერი. —
უსარგებლო და თან მავნებელი ჩვეულებანი ჩვენში. — ქუ-
ნალ-ჯანებებიდან. — ახალი ამბები და შენიშვნები.

სწავლა და მცხენიება ქრისტიანობაში სარწმუნ.
და კითხვალეობაზე: — რატომ გვეშინია სიზარბო ნანახ
სხვა და სხვა მოჩვენებათა?

— წეწირულეზანი. — განცხადებანი.